საქართველო

წლიწადი მეხუთე — სამშაბათი, 28 ღვინობისთვე 1919 წ. № 233 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა — 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნეინა მარიამ დიმიტრის ასული ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა ასულით და ვაჟით გიორგი ალექსანდრეს ძის ბაგრატიონის მუხრან-ბატონითურთ იუწყება, რომ გვამი ქ. პატიგორსკში მოწამებრივად გარდაცვალებულის

თ-დის ალექსანდრე ირაკლის ძის
ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა

გადმოსვენებულია თბილისში გუშინ, ორშაბათს, და დღეს; 28 ღვინობისთვეს გარდაცვალებიდან წლის თავზე, კალოუბნის წმ. ნინოს სასწავლებელში მოხდება დაკრძალვა. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე.

2633 1—1

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ზესტაფონში გარდაიცვალა

დათა ოტიას ძე გვალია

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: და პარასკევა—ცაცა ოტია გვალიას ასული და ძმა მიხეილ ოტიას ძე გვალია მეუღლითა და შვილებით. დასაფლავება მოხდება ს. ხორგაში ზუგდიდის მაზრა დღეს, 28 ოქტომბერს.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს 28 ღვინობისთვეს

ჰოფმანის ზღაპრები

განცხადება.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ღვინობისთვის 18, ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის ფულის, ეგრედ წოდებულ „კერენკების“ მიღება სახელმწიფო! საზოგადოებრივ, საკრედიტო და სხ. დაწესებულებებში დროებით უნდა იყოს შეჩერებული. ამის მიხედვით, ხაზინებსა და სახელმწიფო ბანკს ევალება სახელმწიფო დაწესებულებიდან მიიღონ „კერენკები“ მხოლოდ დღემდე დაგროვილი მათ სალაროში, რაც შესაფერ საბუთებით უნდა იყოს გამართლებული, ამასთან ფინანსთა სამინისტრო საყოველთაო საცნობად აცხადებს, რომ აკრძალულია მიღება საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ფულის ნიშნებისა, ეგრედ წოდებულ „დონის ფულის ნიშნებისა“.

ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილების უფროსი

216 2—1 ვ. ღლონტი.

ტეხნო-ქიმიური ლაბორატორია
„ალფა“

ამით აუწყებს თავის კლიენტებს, რომ ფეხსაცმელების „მაზის“ წარმოების უფლებები გადაეცა კოოპერატივ „დახმარებას“ სთხოვს მაზის მსურველთ მაზის შესაძენად ამიერიდან მიმართონ კოოპერატივ „დახმარებას“ თავისუფლების მოედანზე თამამშევის სახლში.

გამგეობა „ალფა“. 207 10—9

სასადილო „ტაშირი“ სასადილო

(შესხმა—ხოტბა)

„ეკონომია“ — სასადილოსა
დღეს დაეუფლა ძველი ტაშირი
ამერ იმერთა ევროპის სუფრამ
აქ ერთმანეთში შეჰკრა კავშირი.

ტაშის, ზეიმის სასადილოა
ახლად გახსნილი ჩვენი „ტაშირი“
წრის და წოდების ყველა ბელათა
აქ იმართება ღრეობა ხშირი.

პუშკინისეულ ბაღის პირდაპირ
ღამით და დღისით ბრწყინავს „ტაშირი“
და რა ნება აქვს ყოველ ქართველსა
ამ ძველ „ტაშირში“ „დასწვას ნახშირი“

მე როგორც მუდმივ მოიარული
ვურჩევ დახედოთ ძველებურ „ტაშირს“
და გეფიცებით მაშინვე შესწყვიტთ
სხვა რესტორანთა ყოფნას და კავშირს.

212—4—4 სტუმარი

1 ხარისხ. კაფე-პარიზი 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრემის ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: საუზმე, სადილები, ვახშმები.

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

სადილები პურით 2 თავი 15 მან.
„ „ 3 „ 20 „

ყოველ დღე მზადდება აზიზი საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის.

პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდება სტუმრებს.

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით ვარ. გვათუა.

მიხეილის

პლეხანოვის ქუჩა, 91 სახ. უნივერსალ. გვერდით

!!! დღეს უკანასკნელი დღეა !!!

დღეს, 28 ღვინობისთვეს კიდევ ერთხელ მიხეილის „ალკრეში“ დაიდგმის გრანდიოზული მსოფლიო სურათი 2 სერიით, 12 ნაწილად, პროლოგით და ეპილოგით ამერიკის სახელგ. ტრანს — ატლანტიკის ტრესტისა

ჟანნა დ'არკ
(ორლეანელი ქალწული)

ჟანნას დ'არკის როლში ნიუ-იორკის თეატრ „მეტროპოლიტენ“-ის პრიმადონა

ჯერალდინა ფარრარ

ახლანდელი ახალი ამერიკული სურათი არ უნდა შეშალოთ იტალ. სურ. „ორლეანელ ქალწულთან“ ორ სერიად, რომელიც 9 წლის წინად გამოვიდა და გაიარა თბილისის თეატრებში. **ანონსი:** ორშაბათს, 17 ღვინობისთვეს, ნაჩვენები იქნება: „ჟანნა დ'არკ“ მეორე სერია

უზრუნველი ხართ თუ არა ამ ზამთარს სათბობით?
თუ არა მაშინ შეიძინეთ ქვა-ნახშირი — შეშის ნაცვლად.

ქვა ნახშირი ორჯერ მეტად ძალის სითბოსაა ვიდრე საუკეთესო ხარისხის შეშა და ამასთანავე ჯდება იაფადაც. იხმარება გერმეტიულ და სამზარეულო ფეჩებში. დიდ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახისთვის, სასწავლებელთათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. შეკვეთა მიიღება როგორც დიდი ისე პატარა პარტიებით.

მოითხოვეთ მხოლოდ ტყიბულის ქვა-ნახშირი, ნუ შეურევთ სხვა იაფფასიან გელათის ქვა-ნახშირთან. ტყიბულის ქვანახშირს აქვს შვიდი ხარისხი სხვა და სხვა ფასში. ჩვენი ქვანახშირის მიღება მხოლოდ შეიძლება ვაჭრობა-მრეწველობის სააგენტოში ინჟინერ ციციშვილთან და ამხანაგობასთან.

1) დიდუბეში, საქალაქო შეშის საწყობში, 2) კუკიის შესახვევში № 5 და 3) მუხრანის № 25. ჩვენ სუბაგენტთან ტერ-პოღოსიანთან, ტყიბულის ქვანახშირის კანტორაში და გრიბოედოვის და კრუზენშტერნსკისა — № 615.

მსურველთ მიუტანთ ქვა-ნახშირს სახლში 215 10—4

წევრთა საყურადღებოთ!

კოოპერატივ „დახმარებამ“ მიიღო მთიულეთის საუკეთესო

ერბო

იყიდება კოოპერატივის ორივე მაღაზიაში. 213 5—3

„სერო“-ს
ღვინის განყოფილება,

რომელიც იმყოფება ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, № 2 კვლავ განვაახლე. გვაქვს ყოველნაირი ახალ-ახალი სანოვაგე და ადგილობრივი მაგარი სასმელები სხვა და სხვა ფირმისა.

2632 3—1 პატივისცემით ზაქარია ბენდიანიშვილი

კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. კუთხე.

26, 27, და 28 ღვინობისთვეს,

ჩვენს ეკრანზედ ნაჩვენები იქნება

სხვის დანაშაულისათვის
(მამა)

დრამა, მხურვალი და განსაკუთრებული სცენიური განსახიერებით, **ერმენის** და **ზაკენის** მონაწილეობით, რომელშიაც ნიჭიერი მსახიობი, მიუხედავად საფრთხისა მისი სიცოცხლისათვის, ასახიერებს მამის თავდადებას, ცეცხლით მოდებულ სახლში, რომელიც მხოლოდ ამ სურათისათვის დასწვეს.

სეანსის დასაწყისი 5 ნახ. საათზე. ბავშვები და მოწაფენი პირველ სეანსზედ დაკლებულ ფასებით დაიშვებიან (1—26—31—1)

ექიმ ქ. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული

ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად: **სისხლს** (Wassermann'-ის, Weinberg'-ის, Widal'-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr'-ის სპიროხეტები და სხვა). **შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს კუჭის სითხეს და სხვას. აუტოგენიურ ამზადებს ვაქცინას.**

26 მაისის (ოლღის) ქუჩა, გაზაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათ. 15—26988—9

საშიშია მეორე ბოლშევიზმი.

სოხუმი, ლაგოდეხი... ბოლშევიკებმა თავიანთი ძალები აშკარად ამ ქალაქებში გამოიყვანეს, რომ არეულობა მოეხდინათ და, თუ ბედი გაუღიმებდათ, ადგილობრივი მმართველობა ხელში ჩაეგდოთ, რომ აქედან ძლევამოსილი წინსვლა განევრცელებიათ თანდათანობით. ირკვევა, რომ ბოლშევიკებს განზრახვა ჰქონიათ უფრო სერიოზული გამოსვლა თბილისში მოეხდინათ და არც თელავი დაეტოვებინათ უყურადღებოდ. აშკარა გამოსვლები ორსავე ადგილას ენერგიულად იქმნა ჩაქრობილი და დანარჩენ ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, მიღებულიყო ყველა საჭირო წინასწარი ზომები ამგვარი გამოსვლების ასაკვეთად. ამ სიფრთხილემ აგვარიდა კიდევაც ბოლშევიკების ბოროტი დემონსტრაცია. ამგვარად, ბოლშევიკების მორიგი ცდა, საქართველოში არეულობა გამოეწვიათ, სრული ფიასკოთი გათავდა.

ბოლშევიზმი, რომელიც საქართველოში გვევლინება, მეტად უცნაურ კონგლომერატს წარმოადგენს. აქაა თავმოყრილი ყველა, ვინც კი ჩვენი დამოუკიდებლობის მტერია. ესერი, თუ დენიკინელი, მენშევიკი, თუ ნამდვილი ბოლშევიკი, ყველა, ყოველნაირი რწმენის რუსი, ავანტიურისტი დაშნაკელი და განდგომილი ოსი, ყველა ესენი ერთ მიზანს შეუკავშირებია, — ეს მიზანია საქართველოს დაღუპვა. თუ ყოვლად შეუწყნარებელი იქნებოდა ამ მოდარაჯე მეამბოხეთა მუშაობისა და ძალის მიჩქმალვა, უფრო საზიანო იქნებოდა მათ ძალის სიდიადეზე ლაპარაკი. მათი ენერგიული ალაგმვა და დასჯა ყოველთვის შეუბრალებელის სიმკაცრით უნდა ხდებოდეს.

მაგრამ ვიდრე რეალური ძალა ამ ჩვენი დამოუკიდებლობის შინაური შეგნებული მტრებისა მხოლოდ მათივე წრით შემოიფარგლება, ისინი ჩვენთვის დიდათ საშიში ვერ იქნებიან და ყოველი მათი მოულოდნელი გამოსვლის ჩაქრობა ჩვენთვის საძნელო არ იქნება. მდგომარეობა სულ ერთიანად გამოიცვლება, თუ ამ შეგნებულმა მტრებმა და აზროვნების ხელმძღვანელებმა შესძლეს და გადაიბირეს უკმაყოფილო ფართო მასა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ მასას დაეყრდნენ. მაშინ მდგომარეობა შეიძლება ძალიანაც გართულდეს და სახელმწიფოებრივი კრიზისიც დადგეს. ამ მხრივ რომ საგანს შევხედოთ, „ბოლშევიკურ“ არეულობისაგან ჩვენი ქვეყნის სრული უზრუნველყოფის გარანტია მთლიანად საშინაო პოლიტიკის სწორსა და რაციონალურ მიმართულებაში სძევს. უნდა ითქვას სამწუხაროდ, რომ არც ერთი დარგი საშინაო პოლიტიკაში იმდენად მოწესრიგებული არ არის, რომ ადამიანი იმედის თვალით შეჰყურებდეს, ოდეს გასაჭირი გვეწვევა. საშინაო პოლიტიკის სფეროში, ამ მხრივ ყველაზედ უმნიშვნელოვანესია ეკონომიური და ადმინისტრატიული მხარე. ჩვენი მთავრობის ეკონომიურმა პოლიტიკამ არამც ხელი ვერ შეუწყო ქვეყნის სამეურნეო, ალებ-მიცემო და ფინანსიურ ცხოვრების გამოსწორებას, არამც თუ ვერ შეიტანა მომწესრიგებელი და შემოქმედი ნორმები, არამედ კიდევ უფრო მეტი არევ-დარევა და მეტი ანარქია გამოიწვია იმ სოციალისტურ-რევოლუციურ ექსპერიმენტებით, რომელსაც იგი დღემდე განაგრძობს. თუ მთავრობამ შემოქმედების ნატამალი ვერ გამოიჩინა, სამაგიეროდ, დანგრევისა და განადგურების დიდი ნიჭი დაგვანახა. არც ერთი ახალი წარმოება ჩვენში არ გაჩენილა და არა იმიტომ, როგორც ამას ამბობენ ყბა-ღლებით, რომ საამისო მატერიალური პირობები არ იყოს ან სუბიექტიური მომზადება, არამედ იმიტომ რომ მთავრობის შეგნებული პოლიტიკა მიმართულიყო კერძო თაოსნობის ვაჭრობა-მრეწველობისა და ალებ-მიცემობის სისტემის წინააღმდეგ. კერძოთა ეკონომიურ საქმიანობას და თვითმოქმედებას დამბლა რომ დასცა, მთავრობამ; მეორეს მხრით, ვერ შესძლო მისი მაგიერობა ქვეყნისთვის გაეწია: მან თავისი საკუთარი ღონისძიებით, სახელმწიფო აპარატით ერთი გროშის საღირალი რამ ნივთიც ვერ შექმნა.

ყველა სხვა მიზეზის გარეშე, უმთავრესად ამ გარემოებამ შექმნა ჩვენში ცხოვრების საზღაპრო გაძვირება, ფულის შეუჩერებელი ბეჭდვა და მისი ღირებულების კატასტროფიული დაცემა.

მომწიფებული კრიზისის ხანა დადგა. ამას ზედ დაერთო წლევანდელი მოუსავლობა, რაიც პერსპექტივას კიდევ უფრო აბნელებს და აკოშმარებს. მთავრობა და მისი პარტია ძალიან ოსტატურად ყოველივე ამას რევოლუციას აბრალებს და ისე გამოდის, თითქოს აქ მისი უნიჭობა, გამოუცდელობა და მოუმზადებლობა, განსაკუთრებით მისი ყალბი და გამანადგურებელი ეკონომიური პოლიტიკა არაფერ შუაში არ იყოს. თუ უარყოფით მოვლენებს რევოლუციასა და ომს გადააბრალებს და თვითონ წილს არ დაიდებს, სამაგიეროთ, თუ რამ დადებითია, ჩვენს ცხოვრებაში, ყველაფერს თავის გამჭრიახობას, თავის მაღალ ტაქტს და გენიერებას მიაწერს ხოლმე. მაშინ არც რევოლუცია ახსენდება და არც ომი. ამ ეკონომიური ქაოსისა და აუცილებლად მოსალოდნელ საერთო დამშევის სურათის გვერდით, ჩვენს ქვეყნის მეორე უბედურებას ადმინისტრატიული მოუგვარებლობა და ხელისუფლების სრული არარაობა წარმოადგენს. წელიწად-ნახევარი გადის და ჯერ კიდევ უმცროსი უფროსს არ ცნობილობს. მთავრობის პრესტიჟი დაცემულია, უფრო სჭრის პარტიული კოლექტივების დირექტივები და რეზოლუციები. ეს ძირითადი ბოროტება, რომელიც ღრღნის და აქცევს ჩვენს სახელმწიფო შენობას, დღემდის ვერ აღმოფხვრეს. ცენტრალური მთავრობა ამ მხრივ არ არსებობს. ჩვენი ქვეყნის ნამდვილი საფრთხე, შინაური ცხოვრების წარმონაშობი, სწორედ მაშინ დადგება როდესაც ეკონომიური ქაოსის მაქსიმუმი და ადმინისტრატიული ანარქიის მაქსიმუმი ერთმანეთს შეეყრება. აი ნამდვილი „ბოლშევიზმი“ ჩაუქრობელი და დამამარცხებელი, სწორედ მაშინ ამოვარდება. ბოლოს და ბოლოს საშიშია ეს ბოლშევიზმი, და საძნელოა მასთან ბრძოლა და არა ის ბოლშევიზმი და ის ბოლშევიკები, რომელნიც სოხუმ ლაგოდეხში გამოცუნცრუკდნენ. უბედურება ისაა, რომ მთავრობის მთელ პოლიტიკას სწორედ აქეთკენ მივყევართ.

თუ წერას არ აუჩანია, მთავრობამ უნდა გადახედოს თავის პოლიტიკას; მან ხელი უნდა აიღოს იდეოლოგიურად და პოლიტიკურად საზოგადოების იმ წრეების სისტემატიურ დევნა-შევიწროვებაზე, რომელნიც მარტოოდენ პირადი ნიჭისა თაოსნობისა და მოქმედების საშუალებით საქართველოს ცხოვრებაში იწყებენ სიმდიდრის შექმნისა და ეკონომიურ აღორძინების ნამდვილ ხანას. ნდობა ქვეყნის ყველა ცოცხალ მომქმედ ძალებს და აფრთოვანებული აღძვრა მთელი ნაციონალურ ენერგიისა — იქნებ ამან გამოაბრუნოს საქმე, თორემ მენშევიზმის ნაჭუჭში ჩახშული საქართველო იხრჩობა...

მასსის გამომთელება

ხალხში დიდი სულიერი გარდატეხა ხდება. რევოლუციონური პათოსით შეპყრობილი, ნგრევა-დაქცევის იდეოლოგიით გატაცებული, ის ბუნებრივ გამომთელების გზას დაადგა.

ეს ხდება თავის თავად, ბუნებრივად.

ეს პროცესი საერთო მოვლენაა მთელს საქართველოში, ხოლო ზოგან უფრო გამოაშკარავებულია და თვალსაჩინო.

ხალხის ფართო მასსა თავისით შორდება უკიდურეს სოციალისტურ მიმდინარეობებს და გადადის ზომიერ არა სოციალისტურ პოზიციებზე.

ეს უკვე საერთო მოვლენაა, ხოლო ზოგიერთ მაზრებში მათ სრულიად კონკრეტული ფორმები მიიღო განსაკუთრებით იქ, სადაც ხდება ამ ჟამად არჩევნები წვრილს საერობო ერთეულში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წვრილს საერობო არჩევნებში თითქმის

უკანასკნელი ცნობები

ვორონეჟთან ბრძოლის დროს მოხალისეებმა წაიყვანეს 23,000 ტყვე) ბოლშევიკი, 54 ზარბაზანი და ჯავშნიანი მატარებლები.

მოხალისეებმა აიღეს ქ. ორიოლი, რომელიც მოსკოვზე 320 ვერსით არის დაშორებული.

ბოლშევიკებმა პავლოვსკი და ნოვოსელი აიღეს.

ნოვოხოპერსკის მიმართულებით ბოლშევიკებმა წამოიყვანეს 500 კაცი ტყვედ.

გერმანულ გაზეთების ცნობით ლენინი მძიმედ დასჭრეს.

გერმანიის საგ. საქ. მინისტრმა მიულლერმა განაცხადა, რომ გერმანეთ რუსეთის კავშირის შესახებ გავრცელებული ხმები სიმართლეს არ შეეფერება.

არსად არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას, ვინაიდან მას სრულიად მიუღებლად მიაჩნია ხალხისთვის ამ წვრილ ერთეულებშიაც პარტიული სიებით არჩევნების მოხდენა. სოფელი ირჩევს წარმომადგენელთ უბრალო სასოფლო სამეურნეო საქმეებისათვის და არჩევნები კი ხდება პარტიულ სიებით! სოფელს არ აქვს საშვალება ამოირჩიოს თავისი პატარა საქმეებისათვის საუკეთესო, გამოსადეგი პირები მიუხედავად მათი პოლიტიკური რწმენისა, რომელი რწმენა სრულიად არ შეუშლის მათ გზებისა და ხიდების შეკეთებაზე ზრუნვას.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიამ, რომელსაც საუკუნოდ უნდა შეინარჩუნოს პარტიული დიქტატურა, არ შეიწყნარა ჩვენი წინადადება, რომ ყოველი არჩევნები თუ არა წვრილი სათემო არჩევნები მაინც ხდებოდეს არა სიებით, არამედ პერსონალურად.

ასე ხდება არჩევნები ამ ჟამად ქუთაისის და შორაპნის მაზრებში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თითქმის არსად არ ღებულობს პარტიულ მონაწილეობას ამ არჩევნებში. მაგრამ ბევრ ადგილას თვით ხალხი თავის ინიციატივით ადგენს სიას, უსვამს მას № 2 და ერთხმად აძლევს მას ხმას. ზოგს ადგილას ხალხი ვერ ახერხებს ამ რთული პროცედურის მოწყობას და უარს ამბობს ყოველგვარ სიებზე. ჩვენ არ გვინდა სიების არჩევა, ჩვენ ვიცით, ვინ გამოგვადგება ამ საქმეში და მათ ავირჩევთო. ამ გზით სოფელი ირჩევს თავის საუკეთესო წევრებს და მათში, რასაკვირველია სოციალისტური იდეებით მოწამლული თითო-ოროლაც არ გამოერევა. ასეთს მოვლენებს ჰქონდა ადგილი ოკრიბაში, სამტრედიის რაიონში, საჩხერის რაიონში და სხ. და ეს იმის მომასწავებელია, რომ ხალხის ფართო მასსა გაჯანსაღების გზას დაადგა.

და ეს სრულიადაც არ არის გასაკვირველი. ხალხის ცხოვრება მის ბუნებრივ კალაპოტიდან იყო ამოგდებული რევოლიუციის დროს. მაგრამ ეს შესაძლო იყო მხოლოდ მცირე ხნის განმავლობაში. მთელს მსოფლიოში არ მოიპოვება იმდენი რევოლიუციონური ენერგია, რომ თუნდაც ჩვენსავით პატარა ერის ცხოვრება სამუდამოდ მის ბუნებრივ გზას დააშოროს.

ცხოვრება თავის ბუნებრივ კალაპოტებს უბრუნდება. რევოლიუციიდან მას რჩება მხოლოდ ის, რაც მის ბუნებრივ განვითარების კანონებს არ ეწინააღმდეგება. დანარჩენ „რევოლიუციონურ მონაპოვრებზე“ ყვირილი უქმი და უსარგებლოა. რაც ცხოვრებისათვის მიუღებელი მოგვახვია რევოლიუციამ თავზე, ეს ქარის მოტანილია და ქარივე წაიღებს.

ხალხი გამომთელების გზას დაადგა. სოციალისტური და რევოლიუციონური ფსიხოზი მალე გაქრება.

პრესსა

საიდან იხმენენ მენშევიკები მოწონებას?

მენშევიკების ისტორიული სირცხვილი, რომელმაც მთელი საქართველო გააწითლა მეფე ერეკლეს სახელის, ანტონ ჩეხოვის სახელით შეცვლით, ფართო ჰორიზონანს ჰპოულობს საქართველოს გარეთაც:

ბაქოს ესერების გაზეთი „ზნამია ტრუდა“ ეხება ამ საკითხს და სწერს:

„რა უნდა იყოს საერთო: ქართველი მეფე ერეკლე — ძველ, ფეოდალურ საქართველოს სულის ჩამდგმელი და, რუსეთის მწუხარე სინამდვილის მომღერალი, რუსეთის საზოგადოებრიობის ნათელი დღეების ლოდინით დატანჯული, ანტონ ჩეხოვი.

რა უნდა იყოს საერთო მათ შორის?... მაგრამ ეს ორი ისტორიული სახელი შეეჯახა ერთმანეთს თბილისის ქალაქის საბჭოში:

და იყო თბილისის ქალაქის საბჭოში ისტორიული კენჭის ყრა:

ერეკლე მეფე, თუ ანტონ ჩეხოვი?

სასწორმა ერეკლეს სახელით გადასძლია!

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თავისი ხმები, რუსეთის საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების მესაიდუმლეს მისცეს.

ამიერიდან საქალაქო სკოლის შენობას ერეკლე მეფის სახელის ნაცვლად თუმცა ქართულად, მაგრამ მაინც ანტონ ჩეხოვის სახელი დაამშვენებს.

„სამი დის“, „ჩაიკის“ და „ქვიშნის ბაღის“ მომღერალმა, თავისუფალ საქართველოში გაიმარჯვა ნაციონალისტებზედ.

სიმბოლიური არ არის ეს გამარჯვება?

ხომ არ სდგება ისევ კავშირი რუსეთის წამებულ ინტელიგენციასა და საქართველოს შორის?

ანტონ ჩეხოვმა გაიმარჯვა.

იმარჯვებს დიდი სულიერი ძალა დიდი ერისა, რომელმაც შექმნა ჩეხოვი...

ეს იმ სახელებთაგანია, რომელიც საუკეთესო იარაღი იქნება მომავალში, ყოფილ რუსეთის იმპერიის ერთა შეკავშირებისთვის.

ჩუმი, მოკრძალებული, მაგრამ ცხადი თავისი შინაგანი მნიშვნელობით გამარჯვება დარჩა მოაზროვნე დიდებულ რუსეთს...“

ვაშა! ვაშა! ქართველ მენშევიკებს.

მათს მოქმედებას მისი მტრებიც კი, იწონებენ!

და განა ვის შეუძლია იგი მოიწონოს, თუ არა მტერს, რომელიც უკვე იცინის.

„სამი დის“, „ჩაიკის“, „ალუბლის ბაღის“, მომღერალი ანტონ ჩეხოვი და ერეკლე ფეოდალური საქართველოს მეფე.

„რაა საერთო მათ შორის“?

გესმისთ ეს სიტყვები, ბ-ნო მენშევიკებო!

და თუ გესმისთ, რა ფერს იღებენ, თქვენი, ისედაც გაყვითლებული სახენი?..

ვინ დნება და ვინ სუქდება?

ჩვენი სოციალ დემოკრატიის რევოლიუციური შემოქმედება, როგორც სჩანს, ულაზღვრო ყოფილა.

ვინ იცის რამდენი დეკრეტი დაუწერიათ მათ ამ რევოლიუციის ხანაში „დემოკრატიის“ საკეთილდღეოთ.

მართალია, ეს დემოკრატია, ამ ბედნიერებას ვერ ხედავს... ის თავის თავს გაუბედურებულად სთვლის ამ ახალს ბატონების ხელში, თუმცა მას ეს მის სოციალ-დემოკრატების ტკბილი სიტყვები და მდიდარი დაპირებები მაგრამ ამასთან ერთად განიცდის სიმშილს სილატაკეს, უწესრიგობას, თავაშვებულობას და ყოველივე ასეთ უბედნიერებას.

ერთი ხელის გაქნევით ქვეყანა ვის გაუბედნიერებიაო. რევოლიუცია ჯერ არ დასრულებულა, ის გრძელდება და მის დასრულებისას ქვეყანა უთუოდ გაბედნიერდებაო. ასეთია ჩვენი სოციალ დემოკრატიის აზრი დღევანდელი მომენტისა და ხალხის მდგომარეობის შესახებ.

დიაღ, ისინი რევოლიუციას განაგრძობენ და მის დასრულებისას ხალხი უთუოდ უნდა გაბედნიერდეს უკეთუ.. ამ დასრულებამდე თვით ხალხი არ დასრულდა...

რევოლიუცია რომ გრძელდება, ეს მართალია. სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციურ შემოქმედებას ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს მოსაგვარებელი, ამ ჟამად მორიგი რევოლიუციური მუშაობა „ვივესკების“ გარევოლიუციონერებაზეა მიმართული.

თამარ მეფის სახელობის სკოლა, პატარა კახის სკოლათ... ეს ხომ მონარქიზმის მავნე ნაშთებია. რევოლიუციური შემოქმედობა მათ ჯერ არ შეხებია. ჩამოიხსნას ეს რეაქციონური „ვივესკები“ და ამართოს მათ ნაცვლად ანტონ ჩეხოვს და ვერა ზასულიჩის სახელები.

ეს იქნება უდიდესი გამარჯვება რევოლიუციური დემოკრატიისა.

მალე, ძლიერ მალე, ყველა ქუჩისა და სახლის „ვივესკები“ გარევოლიუციონერდება და წითელ-წითელ ფერებით დამშვენდება. პატარა კახის, თამარის, რუსთაველის, დავით-აღმაშენებლისა და სხვათა მათ მსგავსთა მაგიერ ჩვენი გარევოლიუციონერებული ქალაქები დამშვენდება სოციალ-დემოკრატიულ პარტიულ ამხანაგთა სახელებით.

მათ ეჭვი არ აქვთ, რომ მათი სახელები უფრო უკვდავი იქნება ვინემ პატარა კახის და თამარის „რეაქციონური“ სახელები...

მაგრამ სოციალ დემოკრატიის რევოლიუციურ მუშაობას მრავალი ხელის შემშლელი ჰყავს. აი თუნდაც ეროვნულ დემოკრატები. ისინი ბედავენ და საჯაროდ სწერენ, რომ ქართველი ერისათვის თამარის სახელი უფრო ძვირფასია, ვინემ ამხანაგი მინადორა ტოროშელიძის. აი საქართველოში რას სწერს ზ. ამირეჯიბი.

„მრავალ თქმულებიდან მე მახსოვს კიდევ ერთი ხალხური ლექსი, სადაც ირაკლი გამოყვანილია არა როგორც **ფუფუნებაში მცხოვრებელი, როგორც ეს დღევანდელ ჩვენს მმართველებს სჩვევია. იმ დროს, როცა ხალხი შიმშილით სივდება,** არამედ მწოლარე კარავში, უნაგირით თავქვეშ“.

აი არა საკვირველი, შავრაზმელი საქციელი ქალაქის თავის მოადგილის „ამხანაგი“ კუნიაშვილის მიმართ. წიწმატობს „ერთობა“.

სჩანს ბ-ნმა ამირეჯიბმა თავისი რეაქციონური ფეხი სოციალისტურ მაზოლს დაადგა.

„ერთობა“ კითხულობს.

„არ ვიცით, რომელი „ჩვენი მმართველები“ ყავს სახეში ცილისმწამებელთა რიგში ჩამდგარს ავტორს, მაგრამ ერთ რამეს კი დარწმუნებით მოვახსენებთ მას: არც ერთი „ჩვენი მმართველი“ „ფუფუნებაში“ არ ცხოვრობს პირიქით, ყველანი დიდის გაჭირვებით ცხოვრობენ და ყოველი მათგანი ისეთსავე შიმშილობას განიცდის, როგორც მთელი ხალხი“.

დიაღ, „ერთობამ“ არ იცის რომელი „ჩვენი მმართველები“ ყავს სახეში ბ. ამირეჯიბს. „ერთობა“ მართალს ბრძანებს; ეს მან არ იცის; და არც ჩვენ ვიცით, რომელი მმართველი ყავს სახეში ბ. ამირეჯიბს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ. ამირეჯიბი ასეთი მმართველების ჩამოთვლას ვერ შეიძლებს.

სახელი მათი ლეგიონია.

გაზეთი ამას ვერ გაუძლებს. ქაღალდის ასეთს სიძვირეში სპეციალურ ჟურნალის გამოცემა დაგვჭირდება სათაურით „ვინ გასუქდა და ვინ სუქდება“.

ამ გამოკვლევისათვის საქართველოს რაიონებად დაყოფა იქნება საჭირო, თითეული რაიონის გასუქებულთა სია რამოდენიმე თაბახს მოინდომებს.

არა სასიამოვნო მუშაობა იქნება, მაგრამ... თუ „ერთობა“ თავს არ დაანებებს პატარძალივით თავის კეკლუცობას, თითქოს მისი რედაქციის გარშემო მხოლოდ მთვარე ანგელოზები დაფრინავდენ, ჩვენ იქნება მართლაც ვეკისროთ ეს არა სასიამოვნო გამოკვლევა: ვინ სუქდება და ვინ სივდება სიმშილით.

ჯერჯერობით კი, ჩვენ შევიმუშავებთ ორს მთავარ ტეზისს მომავალი გამოკვლევისთვის: ვინ დადნა და ვინ დნება? დადნა და შიმშილით არაქათი გამოელია ყველას, ვინც რევოლიუციონური ამხანაგობის გაბატონებამდე რაიმე საქმეს ასრულებდა ქალაქად თუ სოფლად, ფაბრიკა ქარხნებში, თუ სხვა დაწესებულებაში. ამათ რიცხვშია უპირველესად, რასაკვირველია, მუშები, შემდგომ ინტელიგენცია და სხვა წრეები. ზოგი მეტად დაიშვა და ზოგი ნაკლებად. სრული თანასწორობა აქაც არ დამყარდა ჯერჯერობით, მაგრამ ეს იქნება, თუ რევოლიუცია კიდევ გაგრძელდა.

ვინ გასუქდა? ყველა ისინი, ვინც წინეთ ცხოვრებაში, ზედმეტ ბარგს წარმოადგენდენ. არ ხნავდენ, არ თესდენ არც რაიმე სხვა საქმეში იყვნენ გამოსადეგი, მხოლოდ ქუჩა-ქუჩა დადიოდენ ეულად და ვარსკვლავებს ეთამაშებოდენ.

გადაბრუნდა დრო და ამათ დღეს ვეღარ გამოიცნობთ. ფერ—ხორცი სხვა აქვთ. ჩაცმულობა ამ საშინელ სიძვირის დროს, მისვლა მოსვლა და დარდიმანდობა? კალმით ვერ ავწერთ. ერთი რამ კი დარჩათ ძველი დროიდან:

არაფერს აკეთებენ, მხოლოდ ქუჩა-ქუჩა დადიან და სიტყვებით დემოკრატიის გაბედნიერებას ჰპირდებიან.

„ერთობა“-ს თავი სირაქლემასავით სილაში შეურგავს. გვარწმუნებს—მე ვერ ვხედავ ვინ სუქდება და ვინ სივდება სიმშილითაო.

დავიჯეროთ, ვითომ ასეა?

ვინი.

საქართველო და მისი მეზობლები

საქართველოს დელეგაციის მიერ პიშონის სახელზე გაგზავნილ წერილის გამო გაზ. „ტემპსი“ სწერს შემდეგს: „პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციამ გადმოგვცა ჩვენ ასლი იმ წერილისა, რომელიც მან გაუგზავნა სტეფ. პიშონს. წერილში ნათქვამია:

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის უთანხმოება არსებობს, ეს ორი ქვეყანა სამტრო განწყობილებაში მაინც არ იმყოფება, როგორც ყოველთვის,—საქართველო დღესაც თავშესაფარია სომხებისათვის, რომელნიც სხვა ქვეყნებიდან იდევნებიან. ყოველ შემთხვევაში სომხეთის სამეზობლოდ არ არის სხვა ერი, რომელთანაც სომხები უკეთეს განწყობილებაში იყვნენ ვიდრე ქართველებთან. საქართველო ყველა თავის მეზობლებს თანაგრძნობით ექცევა. საქართველოს მთავრობის მეცადინეობით თბილისში შეიკრიბა ამიერ. კავკ. რესპუბლიკების მეორე კონფერენცია, რომელმაც საერთო შეთანხმებით უნდა მოაწესრიგოს ზოგიერთი სადავო საკითხები.

საქართველოს მთავრობამ სძლია ყოველგვარი დაბრკოლებანი და მოაწყო სასამართლოს და ადმინისტრაციის ორგანიზაციები, რომელმაც დაამყარა წესიერება და მშვიდობა რესპუბლიკაში.

რაც შეეხება საქართველო—საფრანგეთის ეკონომიურ დამოკიდებულებას, ამის შესახებ დელეგაცია იუწყება რომ ბათუმსა და მარსელს შორის მიმოსვლა საქართველოს მთავრობისაგან არ არის დამოკიდებული. სარკინიგზო მიმოსვლა ბათუმსა და ბაქოს შორის წესიერად არის მოწყობილი. ფულის საკითხი კი დიდათ აფერხებს ვაჭრობა—მრეწველობის საქმეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელს გვიწყობს ბუნებრივი სიმდიდრენი. მაგ. ნავთი, ქვანახშირი, ბამბა, აბრეშუმი, მატყლი, თამბაქო და სხვა.

საქართველოს დელეგაცია დიდ ანგარიშს უწევს საქართველო საფრანგეთის ეკონომიურ ურთიერთობას. ამ მხრივ რამოდენიმე ნაბიჯი კიდეც გადადგმულია კერძო ინიციატივით, რასაც საქართველოს მთავრობა გაუწევს მფარველობას. მეორე მხრით უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვითა და სრუტეებით საქართველო აზერბაიჯანში დიდძალი საქონელი შემოდის.

საქართველოს დელეგაცია ხელმძღვანელობს საქართველოს დიდი ხნისა და გულ-წრფელ სურვილით საფრანგეთთან ყოველმხრივ განამტკიცოს კავშირი, თუმცა საფრანგეთის მთავრობა არ აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას არც ფაქტიურად და არც იურიდიულად. საქართველო იმედოვნებს, რომ საბოლოოდ მის დამოუკიდებლობას არ უარყოფენ და ქართველ დემოკრატიას, რომელმაც საბედისწერო მომენტში საოცარი მხნეობა გამოიჩინა საიმედო ძალად იცნობენ.

ინგლისი — საქართველო-აზერბაიჯანის შესახებ.

გაზ. „პენ“ იუწყება, რომ მას მისი სტამბოლელი კორესპონდენტი აცნობებს ასეთს ცნობას ინგლისის განწყობილების შესახებ ამიერ-კავკასიის საკითხში.

„ინგლისი ამ ჟამად დიდად შეფიქრდა მოხალისეთა წრეების მიდრეკილებით გერმანიასთან დაახლოვებისათვის. დიდი ბრიტანეთი, გრძნობს რა შესაძლებლობას ასეთი დახლოვებისა, ბუნებრივად არის უკვე დაინტერესებული, შეინარჩუნოს კავკასიაში თავისი გავლენა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მის ნაცვლად იქ, დენიკინი-გერმანიის გავლენა გაძლიერდეს, რაც მომავალში, უსათუოდ ინგლისის გავლენის წინააღმდეგ იქნება მიმართული აღმოსავლეთში, კორესპონდენტი იუწყება, რომ სტამბოლის დიპლომატიურ წრეებში გავრცელებული ხმებით, ინგლისში გაიმარჯვა იმ თვალსაზრისმა, რომ მანდატი საქართველოს და აზერბაიჯანზედ ინგლისმა უნდა მიიღოს.

ბოლშევიკები — ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შესახებ

გაზ. „პრავდასა და იზვესტიის“ უკანასკნელ №-ში, დიდი ადგილი აქვთ დათმობილი წერილებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შესახებ. გაზ. „პრავდას“ მეთაურ წერილში, ავტორი ამტყუნებს „სოვნარკომს“ იმაში რომ, თავის დროზედ, მან არ დააკმაყოფილა ამიერ-კავკასიის ხალხების სამართლიანი მოთხოვნილებანი. გაზეთი სწერს: „ჩვენ რომ შარშან, ამიერ-კავკასიაში ზურგი გვქონოდა გამაგრებული და ამით ბაქოსა და თბილისში შეგვეძლებოდა მტკიცე ბაზა შეგვექმნა, ჩვენი წითელი დროშა ისევ პიატიგორსკსა და კავკავზედ იფრიალებდნენ.

დასასრულ წერილის ავტორი ამბობს: როდესაც „ინტერნაციონალისტების თვალი აღმოსავლეთისაკენ არის მიპყრობილი ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მთელი სიბრძნე რევოლიუციონური ტაქტიკის, და ხელი გაუწოდოთ კავკასიის რესპუბლიკებს, რომელთაც აქვთ ჩვენთან საერთო სიძულვილი „თეთრი გვარდიელებისადმი“.

ქრონიკა

◆ **ბანკეტი გენ. მურთან** შაბათს 25 ღვინობისთვეს, ამერიკის სამხედრო პოლიტიკური მისიის უფროსის გენ. მურს, თავის ბინაზედ, რადიშჩევის ქუჩაზედ მისი საქართველოდან წასვლის გამო, გამართა გამოსათხოვარი სადილი, რომელსაც დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ბ ნი ე. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. ალევანიშვილი, საქართველოს ელჩი ამერიკაში ბ-ნი დ. ღამბაშიძე, საგარეო საქმეთა სამინ. კანცელარიის ვიცე-დირექტორი ბ-ნი ზ. მაჩაბელი, პოლკ. მელიქიშვილი, გენ. თამამშევი, კაპ. უატ-პაუსი და სხვ. სადილმა მხიარულად ჩაიარა წარმოითქვა მრავალი საგულისხმო სიტყვები.

◆ **ვლ. სულაქველიძის ავადმყოფობა.** თბილისის მილიციის უფროსი და რკინის გზების გენერალ-გუბერნატორი ვლ. სულაქველიძე მძიმე ავად გახდა ფილტვების ანთებით.

◆ **მთავრობის თავმჯდომარეს** ბ-ნ ჟორდანიას თბილისში 20 ღვინობისთვეს მოელიან.

◆ **გენ. ოდიშელიძე.** ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა.

◆ **„ნაშ კრაის“ დახურვა.** ბათომის გაზეთი „ნაშ კრაი“ გენ. კუკოლისის ბრძანებით დაიხურა.

◆ **ერობათა ცენტრის ბიურო** რაჭის სამაზრო საერობო გამგეობა ატყობინებს, რომ ერობის ხმოსანთან ყრილობამ სესიის სხდომაზე განიხილა რა ცენტრალური ბიუროსაგან შემუშავებული პროექტი ადმინისტრაცია მილიციის რეორგანიზაციის შესახებ სასურველად სცნო შემოღება მაზრაში შემდეგი მილიციის შემადგენლობის: ერთი მაზრის მილიციის უფროსი, ხუთი მისი თანაშემწე, 8 მაზრის უფროსის ცხენოსანი მილიციონერი 65 უმცროსი ქვეითა მილიციონერი და თემებისათვის: 28 უფროსი ცხენოსანი და 70 უმცროსი ქვეითა მილიციონერი.

◆ **ყაჩაღთა თავდასხმა.** დამატებით ერობის გამგეობის დეპეშის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო შემდეგი დეპეშა თიანეთიდან ხევსურთ სოფელზე ყაჩაღთა თავდასხმის შესახებ: 17 ღვინობისთვეს 4 საათზე ერწოში ხევსურთ სოფელს ალყა შემოარტყა ოცამდე ყაჩაღმა. მოჰკლეს მათე წიკლაური, გაძარცვეს ჯავარაშვილის და წიკლაურის ოჯახები. ს. თოლენჯში გაბიტაშვილის სახლი. სიმონიანთ ხევში 5 დუქანი, გორანაშვილის და ილუკაშვილის სახლი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ეს ამბავი დუშეთის გენ.-გუბერნატორს შესაფერ ზომების მისაღებად.

◆ **ქალაქის სანიტარია.** დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა აცნობა შინაგან საქ. მინისტრს რომ საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილების შტატის დამტკიცებისა და ხარჯთ აღრიცხვის დეკრეტის განხილვის დროს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქ. თბილისი მეტის-მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ქალაქს უკანასკნელ ხანს აუარებელი ლტოლვილები მოაწყდა. კომისიის აზრით, ეს გარემოება დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქალაქისათვის. პრეზიდიუმი აცნობებს რა კომისიის აზრს, თავის მხრივ უერთდება კომისიის სურვილს რომ, შინაგან საქ. სამინისტრომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ მავნე მოვლენას, და მიღებულ იქნება საშუალება ქალაქის ამ მხრივ უზრუნველყოფისათვის. სამინისტრომ ამ მიმართვის პირი დაუგზავნა ქალაქის მოურავს და სთხოვა მიიღოს სათანადო ზომები და შედეგი მოხსენდეს მინისტრს.

◆ **სახ. დაწესებ. მოსამსახ** პროფესიონალ კავშირის კრება დღეს 28 ღვინობისთვესაა დანიშნული სახელმწიფო შემნახველ კასის შენობაში საღ. 6 საათზე.

◆ **ლიტურღია ორგანოზე.** კვირას ვერისცვალების ქართველ კათოლიკეთა ტაძარში კომპ. ფალიაშვილისა და ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შესრულებულ იქმნა ქართული ლიტურღია ორგანის აკომპანიმენტით. წირვას დაესწრნენ მრავალი ქართველობა და ქართველი კათოლიკეობა. მსმენელზე წირვამ ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა.

◆ **მომარაგების სამმართველოში.** მთავრობის დადგენილებით მომარაგების მთავარი სამმართველო და მომარაგების საბჭო გაუქმებულ იქმნა, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება და გადაეცა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. ამ ჟამად მთავრობას ისევ გაუქმებია თავისი ძველი დადგენილება და მომარაგების სამმართველო აღუდგენია თავის უფლებებში.

◆ **საშუალო სკოლების მასწავლებლები განათლების მინისტრთან.** მასწავლებელთა ყრილობის დავალებით, განათლების მინისტრს წარუდგა დელეგაცია, რომლებმაც მოახსენა მას საშუალო სკოლების მასწავლებელთა აუტანელი მდგომარეობა და შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინა მას: 1) ჯამაგირების მომატება შემდეგი სახით: ძირითადი ჯამაგირი უნდა გაექვსკეცდეს. 2) ეს გადიდებული ჯამაგირი დაწესდეს პირველ ენკენისთვიდან. 3) დახმარება მთავრობისაგან იაფფასიანი სურსათ-სანოვაგით და ტანისამოსით. პასუხი შუამდგომლობაზედ სამინისტრომ ერთი კვირის განმავლობაში უნდა მისცეს.

◆ **ინციდენტი რუსთაველის პროსპექტზედ.** შაბათს 25 ღვინობისთვეს, რუსთაველის პროსპექტზედ, კაფე „ინტერნაციონალის“ გვერდით, მოქალაქე სვიმონ ბერიძემ, სილა გააარტყა მომარაგების სამმართველოს უფროს ბუჰალტერს კ. გიგინეიშვილს, რომელიც დასისხლიანებული დაეცა ქვაფენილზედ. როგორც გადმოგვცემენ, მოქ. ბერიძის მიერ გიგინეიშვილისადმი მიყენებულ შეურაცყოფას, კავშირი ჰქონია მომარაგების სამმართველოში ამ რამდენიმე დღის წინეთ ბ-ნ ი. ქარცივაძის კაბინეტში მომხდარ ინციდენტთან.

პარტიული ცხოვრება.

ქ. ქუთაისში, კვირას 2 გიორგობ. დილის 10 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში შესდგება ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა (სტუდენტების და მოწაფეების) ყრილობა. წესრიგი: 1. პროგრამულ საკითხებზე: მოხსენებლად გამოვლენ ბ-ნი ვასილ წერეთელი, ალექსანდრე თორაძე და ტიტე მარგველაშვილი. 2. საორგანიზაციო საკითხები: მომხსენებელნი ადგილობრივ ორგანიზაციებიდან: პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურა. პარტიული ლიტერატურა და სხვ. დასასრულ მოხდება არჩევნები დ. ს. ერ.-დემ. პარტიის მოსწავლე ახალგაზრდების კომიტეტისა და საკონტროლო კომისიისა. ყრილობის შემადგენლობა: ზესტაფონის, ქიათურის, საჩხერის, ხარაგოულის, სამტრედიის, ხონის, სენაკის, ზუგდიდის, ლანირ-ჰაგანის, აბაშის, ფოთის, ოზურგეთის, ჯიხაიშის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, და ბათომის ორგანიზაციები. შენიშვნა: ქ. ქუთაისის ორგანიზაციის წევრებს ყველას შეუძლია დაესწროს. 2. პროვინციელი ორგანიზაციები აგზავნიან შეძლების დაგვარად. 3. მანდატის მიღება შეიძლება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

სამხატვრო ქრონიკა

ვასილ ბარნოვის იუბილე. ვასილ ბარნოვის საიუბილეო კომისიის მორიგი სხდომა დანიშნულია დღეს, რესტორან „ანნინას“ ბინაზე, საღამოს 7 საათზე.

ქართული კლუბი. დღეს, 28 ღვინობისთვეს ქართულ კლუბის სცენაზე ქართულ მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნება დ. ერისთავის „ოჯახის გაუბედურება“.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ქუთაისი.

კომისრის დამატიმრება. რაჭის მაზრის კომისარმა სხვა და სხვა ბოროტმოქმედების გამო დააპატიმრა სხვავის საზოგადოების კომისარი და ონის სატუსაღოში მოათავსა. საქმე გასარჩევად გადაეცა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს, რაც ეცნობა შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის ინსპექტორს. რაჭის მაზრის კომისარმა ორ-ორი კვირით დააპატიმრა აგრეთვე ზნაკვის საზოგადოების მილიციელი სანდრო კვაბაძე.

წყალტუბოს თემი მიეწერა ქუთაისის რაიონს.

აჯამეთის მამულის რევიზია. სამაზრო ერობის თაოსნობით შესდგა კომისია აჯამეთის მამულის სარევიზიოდ. კომისიაში შედიან: ვ. სანებლიძე. მ. გავაშელი და ლ. ქორქაშვილი.

მოქალაქენო! ეჩქარეთ ლატარიის ბილეთების შესაძენად
I მოგება—100.0000 II მოგება—50.0000 და სხ.
მოგებათა გასატუმრებლად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი
ბილეთი ღირს 25 მან. კუპონი ღირს 5 მან.
ლატარიის გათამაშება მოხდება სახელმწიფო თეატრში 2 გიორგობისთვეს,
ლატარიის კანტორა: დამფუძნებელ კრების ქ. (ყოფილი სასახლის)№ 5, ტელ. 7-61.
(219—6—3)

სანიტარული გადასახადი შორაპნის მაზრაში. შორაპნის მაზრის ერობის ყრილობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა შემოიღოს მაზრაში ერთდროული სანიტარული გადასახადი. ეს გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს მიწის გადასახადის 5 პროცენტს, რაც უდრის სულ 1.354.969 მანეთს და 55 კაპ.

ტყის განადგურება. შინაგან საქმეთა ქუთაისის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ყოველ დღე დიდძალი ოქმები მოდის ვარციხის სახელმწიფო მამულში კერძო პირების მიერ ტყის განადგურების შესახებ. ტყეს სჩეხენ უნებართვოდ და დაუზოგველად.

ქ. ახალციხე.

მკვლელობა. ამ დღეებში ს. სვირის მახლობელ ტყეში უნახავთ ტყვიით მოკლული იმავე სოფლის მცხოვრები ყაჩაღი მავლუდ ოსმან ოღლი.

შეტაკება ყაჩაღებთან. ახალციხის მაზრის მილიციას 14 ღვინობისთვეს შეტაკება მოუხდა ს. ფერსის მახლობელ ტყეში ყაჩაღებთან, რომლის დროს მოკლულ იქნენ ზიკილიის მცხოვრებნი იზატ კოტამვილი და ტორომან ბუზრან ოღლი, უკანასკნელნი მეთაურები არიან აწყვერ-ბორჯომის გზაზე მომქმედ ყაჩაღთა ბრბოსი რომელსაც მრავალი ბოროტ მოქმედება ჰბრალდებოდა.

მილიციონერთა დასჯა. მაზრის კომისრის განკარგულებით დასჯილ იქმნენ ორი კვირით დამწყვდევით და სამსახურიდან დათხოვნით ქალაქის უმცროსი მილიციონერები მაზმანიძე და ხოდიკოვი სადარაჯოს თავის ნებით დატოვებისათვის.

ბათომი.

როგორც ვიცით ამ რამდენიმე დღის წინათ ბათუმის გენერალ-გუბერნატორმა სავალდებულო გახადა დონის (დენიკინის) ბონების მიღება ამავე დროს მიუხედავათ იმისა რომ ბევრჯელ თხოვეს, ნება არ დართო საქართველოს ბონების მიღება ასეთივე სავალდებულო ყოფილიყო. მიუხედავათ ამისა დღეს ბათუმში სულ ყველა სიხარულით ღებულობს ქართულ ფულს გარდა ორიოდე დენიკინელისა. გუშინ 25 პროცენტით მეტსაც ფასობდა.

— 21 ოქტომბერს ინგლისის სამხედრო პოლიცმეისტერის განკარგულებით დათხოვნილ იქნა სამსახურიდან თარჯიმანი სამხედრო გაუპტვახტში მიკირდიჩ მარმარიანი, რომელსაც ტუსაღისაგან საჩუქარის მიღება ბრალდება.

— დათხოვნილ იქნა აგრეთვე სამსახურიდან მეოთხე უბნის უფროსის თანაშემწე შჩერბინი, რომელმაც ცირკ „მონ-პლეზირში" ყოფნის დროს ნება არ მისცა ამავე რესტორანის პატრონს დაეკეტა რესტორანი თანახმად საალყო წესების გამო დანიშნულ დროს.

ბათომის პორტში.

22 ოქტომბერს ბათუმში მოვიდა რუს. მატორიანი ნავი „ბათუმი", ოსმალთა ფელუგა: „კიტრა", „შაინი", „იზმირი", ქართველთა—„ბუხდუდეჟინი" და რუს. მატ. „ასტრანი".

— ამ დღეებში ბათომიდან გაიტანეს დიდ ძალი სხვა საქონელი, მათ შორის თამბაქო, მარილი, შავი ქვა, ნიორი, ბრინჯი და სხ

სომხეთი

სომხეთის საერთაშორისო მდგომარეობა.

გაზ. „გრიად. დენი"-ს საკუთარი კორესპონდენტი სომხეთის შესახებ სწერს: „სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, მისი საერთაშორისო მდგომარეობა საპრობლემო საკითხად იქცა. ამ „წყეული საკითხის" გარშემო ტრიალებს სომხეთის ადგილობრივი ოფიციალი წრეები და სომხ. დელეგაცია პარიზში.

სომხეთის მანდატის საკითხი.

მეორე მწვავე საკითხად ითვლება მანდატის საკითხი სომხეთზე. ეს საკითხი განსაკუთრებით ჰარბორდის ჩამოსვლის შემდეგ აღიძრა. შთაბეჭდილება ისეთი იყო თითქოს მანდატის საკითხი ასე სასწრაფოდ ჩამოსული გენერალს უნდა გადაეჭრა გვავიწყდებოდა, რომ გენერალი მხოლოდ „სასიამოვნო მგზავრობით" კმაყოფილდებოდა საინფორმაციო მიზნებისათვის.

მაგრამ, რათქმა უნდა არც ჰარბორდსა და არც ამიერ-კავკასიაში სხვა მის მზგავს გენერლებს ანტანტიდან ჩამოსულთ, მანდატის საკითხი არ გადაუჭრიათ.

ამ საკითხის გადაჭრა შეუძლია მხოლოდ ამერიკის სენატს.

ჰარბორდი სომხეთში.

თუ რა გადასცა სომხეთის მთავრობას ჰარბორდმა, საიდუმლოდ დარჩება. მაგრამ ზოგ საკითხების შესახებ მაინც შეიძლება გარკვეული აზრი ვიქონიოთ. (შუბი პარკში არ დაიმალება). გენერლის პასუხი ფრიად დამახასიათებელია: იქიდან არაფრის გაგება არ შეიძლება როდესაც ჰარბორდს ჰკითხეს, როდის განიხილავენ მანდატის საკითხსა და იქნება თუ არა იგი დადებითად განხილულიო, ჰარბორდმა უპასუხა: „თუ ქრისტეშ. საკითხი დადებითად გადაიჭრა, მაშინ შესაძლებელია იანვარში შეუდგეთ მანდატის ორგანიზაციის დეტალურ განხილვას"-ო.

ჰარბორდს ეკითხებიან; „ხედავს თუ არა გენერალი რაიმე დამაბრკოლებელ მიზეზს გაერთიანებული სომხეთის შექმნაში". გენერალმა უპასუხ: სხვადასხვა კონგრესმა „ოსმალეთის სხვადასხვა ალაგას გამართულ კონგრესებზე დაადგინეს ოსმალეთის ყველა ნაწილებზე, ოსმალეთის მთავრობის მართველობის გავრცელება. მაგრამ ოსმალეთში არის უმცირესობა, რომელიც ფიქრობს ოსმალეთიდან სომხეთის ჩამოშორებას"-ო. გენერალს შეეკითხნენ ოსმალეთის აგრესიულ პოლიტიკის შესახებ სომხეთის წინააღმდეგ, გენერალმა უპასუხა: „ევროპაში და ამერიკაში კარგად იცნობენ ოსმალეთის სიმკაცრესო".

ერთი სიტყვით გენ. ჰარბორდს გარკვევით არაფერი უთქვამს და უთუოდ მართალია თბილისის გაზეთების ცნობა: „გენ. ჰარბორდმა თბილისში გამართულ ბანკეტზე განაცხადა: პოლიტიკის შესახებ ლაპარაკი ნუ იქნება"-ო.

არც ერევანში გამართულ ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვებს ჰქონია პოლიტიკური ხასიათი.

აზერბეიჯანი

განხეთქილება ბაქოელ მენშევიკებში

23 ოქტომბერს „რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატების" ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება ბაქოელ მუშებისადმი, რომელშიაც ჯგუფი აცხადებს, რომ გამოდიან პარტიიდან და აარსებენ ახალ სოციალისტურ ორგანიზაციას. ეს განხეთქილება დიდი ხნიდან ეჩნეოდა პარტიას, მაგრამ დღემდე არ სჩანდა. პარტიიდან გასული „რევ. სოც.-დემ." ბრალს სდებენ მენშევიკებს, „როგორც ქართული მენშევიკების მაჩანჩალებს". მოწოდების ავტორები მოუხმობენ ამხანაგებს ებრძოლონ ძველ კომიტეტს და ამ რიგად პარტია იხსნან მომავალ დემორალიზაციისაგან.

საქონლის გატანის ახალი პირობები

12 ოქტომბერს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში მოხდა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობდნენ ვაჭრობის მინისტრი ბ. ამინოვი, ისი ამხანაგი ბ. ალიევი, წვრილი ვაჭრობა-მრ. სამინისტროსი ა. ი. მანჩო, ფინანსების ბ. ლებედევი, საბაჟო შესაკრებელის განყოფილების უფროსი ა. გელოვანი და ბაქოს საბაჟოს მმართველი. განიხილეს საკითხი საქონლის გაცვლისა და გატანის შესახებ. თათბირმა დაადგინა შემდეგი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საბაჟოს კონტროლიორებმა:

1) საზღვარგარედან შემავალი საქონელი შეიძლება გაშვებული იქნას ერთი თვის განმავლობაში საბაჟოს ტრანზიტული წესით მიღების შემდეგ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქონლის ტრანზიტობა დაწვრილებით გამოირკვევა გამოგზავნილი ადგილიდან.

2) ბანქის ანგარიშის წარდგენისას საჭიროა აღნიშნული იყოს ხარისხი: გაწმენდილია, გაუწმენდელია ან ნახევრად გაწმენდილია.

3) ოქრო - ვერცხლის გაშვებისას მგზავრებმა უნდა იხელმძღვანელონ მთავრობის 1919 წ. 28 ივლისის დადგენილებით და არა 1918 წ. 21 ნოემბრის დროებითი წესებით.

4) საბაჟო კვიტანციებზე უთუოდ უნდა აღინიშნოს საქონელი ტრანზიტითაა გაშვებული თუ შინაური მოთხოვნილებისათვის.

5) საქონლის გატანის ნებართვის წარდგენისას, რომელიც ნაჩვენებია 1 და მე-2 დადგენილებაში 28 ივლისიდან, - საქონელი საბაჟოს ნებართვის წინასწარ წარდგენამდე არ გაიშვებ.

„ბაკინეცი" და „ნოვოსტი"

გ. ს. ჯაფარიძის რედაქტორობით ამ დღეებში განახლდება მთავრობის მიერ დახურული გაზეთების „ბაკინეცის"-ა და „ნოვოსტის" გამოცემა.

ინგლისელთა ნავთის ბიურო

ბაქოში დაარსდა ინგლისური მთავრობის მეთაურობით ნავთის ბიურო, ნავთის შესასყიდათ და გასატანათ ბათუმში.

ბაქოს ბირჟაზე

ბირჟაზე მერყევი განწყობილებაა. სხვა და სხვა ხმებს ავრცელებენ, ნაწილობრივ პროვოკაციას, რასაც დაინტერესებული პირები რეალურად ანაღდებენ. შენიშნულია ყველა კატეგორიების ფულების კურსის დაუდეგრობა. 1000 მან. კერენკები 1700 მანეთად, 250 მან. კერენკებს ჯილდოთ აქვს 4 პროცენ. რომანოვების 500 მანეთი 1400 მან. 100 მან. 250 მან. თბილისის 3 პროც. დონის ფულის მოთხოვნილება სულ არაა. წვრილი ოქრო 30 მან. მანეთიანი 65 მან. ჩეკების დახურდავება 32 პროც.

ვალიუტა და ფასები

ვალიუტაზე აჟიოტაჟი ფართო ხასიათს იღებს. გირვანქები სრულიად არ მოიპოვებიან. არაჩვეულებრივად აიწია სახელმწიფო ქაღალდების ფასმა, რაც პეტროგრადის დაცემის გარშემო გავრცელებული ხმებით აიხსნება. მათის პროცენტიანი სახელმწიფო რენტა დილიდან იყიდებოდა 175 მან. და აღწევდა 190 მანეთამდე. სამხედრო სესხი 110 მან. სახელმწიფო ხაზინის სერიას 4 პროც. 106 მან. თავისუფლების სესხის მსხვილი კუპიურები 80 მან წვრილი 90 მან. სარკინისგზო სესხი 950 მან.

საფრანგეთის სამხედრო მისსიის უფროსის ჩამოსვლა.

თბილისიდან ბაქოში ჩამოვიდა საფრანგეთის სამხედრო მისსიის მეთაური ამიერ-კავკასიაში მაიორი დენონკური რომელმაც ხანგრძლივად ისაუბრა საგარეო საქმ. მინისტრთან; მან სიამოვნებით აღნიშნა ის საუცხოვო წესიერება, რომელიც ამჟამად სუფევს ბაქოში.

ბეჭდვის კანონი.

პარლამენტმა სოციალისტების (ახრარისტებისა და ინტერნაციონალისტების) წინააღმდეგ მიიღო კანონ პროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ახალი კანონი სრულიად შეეფერება ევროპაში არსებულ ამნაირ კანონებს მთავარ პრინციპებს.

სამზადისი ახალ საქალაქო არჩევნებისთვის.

ბაქოს ქალაქის თვითმართველობის არჩევნებისათვის ახლა ემზადებიან, ანგარიშობენ მოსალოდნელ ხარჯებს, რომელიც ერთ მილიონ მანეთს უდრის.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურის შემადგენლობა.

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა პერსონალის შემადგენლობა ასეთია: მედიკურ ფაკულტეტზე: დამსახურებული პროფესორი, ვ. ი. რაზუმოვსკი, უნივერსიტეტის რექტორად და საოპერაციო დოსტაქრობის პროფესორად ა. ლევინი, ფაკულტეტის ტერაპევტიულ დარგზე პროფ. ი. შიროკოვი, კლინიკაზე ა. ოშმანი, პათოლოგიური ანატომიის პროფესორად და მედ. ფაკულტეტის დეკანად. ფარმაკოლოგიაზე დ. გურვიჩი, ქიმიაზე ა პროკოფიევი—ჩიჩივსკაია და სხვ.

ისტორ. ფილოლოგიურზე დეკანად ნ. დუბროვსკი და საზოგადო ისტორიის დოცენტად დასავლეთ ევრ. ლიტერატურის პროფესორად პ. ფოხტი, ჯოგოროდსკი, ფილოსოფიის პროფესორად. კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ფილ. დოქტორი ლ. გ. ლოპატინსკი, მახ-ტახტინსკი თურქული ენის კათედრაზე, ა. ბ. სოლიხანოვიჩი ფილოსოფიის კათედრაზ.

მეცადინეობა დაიწყება მაშინ, როცა როსტოვიდან ჩამოვა უნივერსიტეტის რექტორი რაზუმოვსკი, რომელსაც დავალებული აქვს ზოგიერთ პროფესორების ჩამოყვანა.

ბრძოლა პეტროგრადისათვის.

სტეკლოვის და ზინოვიევის წერილები.

მოსკოვი, ღვინობისთვის 25, ც. ა. კ. ბ. ბ. [illegible]

„იზვესტია"-ში მოთავსებულია სტეკლოვის წერილი: „იარაღში ჩასხედით", სადაც ამბობს: „პარტიულ კვირის შემდეგ გამოცხადდა თავდაცვის კვირა. პროლეტარიატის ბოროტი მტრები ერთი წამითაც არ გვანებებენ თავს. მუშათა კლასი იარაღში ჩამჯდარი უნდა დახვდეს მას. მტერს არ სძინავს, მას ეხლავე უნდა გავცეთ პასუხი. შეიძლება არ ეთანხმებოდეს კაცი კომუნისტებს ამა თუ იმ საკითხში და არ შევიდეს პარტიაში, მაგრამ ყოველი მუშა უდრეკად დაინტერესებულია საბჭოთა რუსეთის დაცვაში. ყოველ მუშას მისი პოლიტიკურ მიმართულების დამოუკიდებლად თეთრების გამარჯვება უქადის მონობას და სიკვდილსაც. მუშათა კლასმა მტერს უნდა აჩვენოს, რომ მისი ყოველი ცდა უიმედოა და დამარცხდება. პროლეტარიატი კბილებამდე უნდა შეიარაღდეს. პარტიის კვირას დიდი შედეგი მოყვა, რამაც უკვე დაალონა თეთრგვარდიელები. წითელი დიდ ქალაქის მუშების მასიური შეიარაღება ერთხელ კიდევ დაამარცხებს ზნეობრივად მიზეიმე შავრაზმელებს. მუშა-პროლეტარო, თუ გსურს მოსვენება, თუ გსურს ისე დაუბრუნდე მშვიდობიან შრომას, რომ თავისუფალი დარჩე, შეიარაღდი, ორგანიზაციულად შეკავშირდი და შეუერთდი შენ ძმებს, რათა კონტრ რევოლიუციონერებს მთელი ძალა უფლების აღდგენის ყოველივე იმედი დაუკარგო. მოსკოვის მუშებო, ყველა—იარაღისკენ! ყველა იარაღში!

ზინოვიევი წერილში: „პირველი გამარჯვება" ამბობს: „ოქტომბრის 23 დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება წითელი პეტროგრადისთვის. დეტსკოე სელოსთან ბრძოლას გატჩინასა და კრასნოე სელოსთან 2 წლის წინად კერენსკისა და კრასნოვის ჯარებთან მომხდარ ბრძოლებზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. ჯერ კიდევ გუშინ თეთრებს იმედი ქონდათ პულკოვის მაღლობების აღებისა, მაგრამ ამ დროს ჩვენ თავი მოუყარეთ მნიშვნელოვან დამკვრელ ძალას და დავამარცხეთ. ბრძოლას დიდი მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრით, ბოლოს თეთრები დამარცხდნენ. იმავე საღამოს დიდი ბრძოლის შემდეგ პავლოვსკი აღიღეთ. გარდატეხა უკვე მოხდა. ინგლისურ ფრანგულმა რადიომ ნაადრევად ამცნო მთელ ქვეყანას, რომ პეტროგრადის აღება უზრუნველყოფილია, რომ იუდენიჩის შტაბი უკვე დეტსკოე სელოშია და რომ კრონშტადტი და კრასნაია გორკა უკვე აიღეს თეთრებმა".

ტროცკის წერილი „იზვესტიაში".

ტროცკი „იზვესტიაში" „ტანკები"-ს სათაურით სწერს: ჩვენ ვუტევთ და ვამარცხებთ იუდენიჩს ეხლა № ის არმიის ყოველი ახალგაზრდა ჯარის კაცისთვის ცხადია, რომ ჩვენ თეთრგვარდიელთა ბრბოებზე უფრო ძლიერნი ვართ. ამ რამდენიმე დღის წინად კი № ის არმიის ნაწილები იუდენიჩის ჯარის წინ სიჩქარით უკან იხევდნენ. რა იყო მიზეზი? მიზეზი იყო თავზარი, რომლის დროსაც დიდი როლი ითამაშა „ტანკებმა". შემდეგ ტროცკი აღწერს, რომ თუ რას წარმოადგენს არსებითად ტანკები და ამტკიცებს რომ ჩვენ ომში ტანკებს არ შეუძლიათ სერიოზული როლი ითამაშოს. ის ამბობს:—„ამხანაგო წითელ არმიელო, როდესაც მოულოდნელი უაზრო შიში მოიცავს შენს სულსა და გულს სიტყვა „ტანკის" გაგონების დროს, გაიხსენე დაფეთებული ცხენი ავტომობილის წინ. პანიკა ყოველივე უბედურების წარმომშობია. ამის გამოა, რომ მტერი ყოველ ღონეს ხმარობს პანიკის გამოსაწვევად. თუ ბრძოლაში ვინმე იწყებს შენს შეშინებას ტანკებით, ეს ნიშნავს იუდენიჩისაგან დაქირავებულს პროვოკატორს, რომელსაც სურს უპატიოსნო გზით გამარჯვება, რადგან ძალებით გამარჯვება არ შეუძლია. წითელ არმიელო, გახსოვდეს. რომ ჩვენ ბევრნი ვართ, რომ ჩვენ ძლიერნი ვართ, რომ ჩვენი საქმე ჭეშმარიტია. გახსოვდეს, რომ იუდენიჩთან იბრძვის ხალხი, რომელიც სხეულით შენზე ძლიერი არ არის, სულით კი უფრო სუსტია. როგორც კი შეიგნებ შენს ძალას, მაშინ პანიკას ადგილი არ ექნება და შენ უძლეველი შეიქნები. მაშინ ჩვენ შევძლებთ გამარჯვებას ჩრდილოეთში და სამხრეთში, დავამარცხებთ მტერს, დავბრუნდებით ქალაქებში და სოფლებში შევუდგებით მშვიდობიან შრომას".

ვორონეჟის აღება

როსტოვის პრესის ბიუროს ცნობა.

ჩრდილოეთიდან შეტევით ღვინობ. 6 აიღეთ რკინის გზის დიდმნიშვნელოვანი კვანძი სად. ლისკი, რომელსაც წითლები განსაკუთრებით მკაცრად იცავდნენ. ვორონეჟის ბრძოლების დროს წამოვიყვანეთ 23,000 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 54 ზარბაზანი და რამდენიმე ჯავშნიანი მატარებელი. ორიოლის მიმართ. დიდის თავ-განწირულებით იბრძოდა წითელი ჯარი, რომელშიაც შედიოდა მეზღვაურთა, კომუნისტების და ლატიშების ნაწილები, რომლებიც მოსკოვის გზის ყოველ ნაბიჯს იცავდნენ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, 150 კილომეტრის მანძილი კურსკიდან ორიოლამდე მოხალისეთა ჯარმა 20 დღეში გაიარა და ოქტომბრის 12 აიღო ორიოლი, რომელიც მოსკოვზე 320 ვერსითაა დაშორებული და გენ. დენიკინის ბანაკიდან 650 კილომეტრით წაიწია წინ. ბრიანსკის მიმართ. წითლები აგრეთვე მკაცრ წინააღმდეგობას გვიწევენ, რადგან ესმით, რომ თუ ბრიანსკის რკინის გზის ლიანდაგის კვანძი გადავჭერით, გომელის რაიონში მომქმედ ჯართან კავშირს დაკარგავს.

გაზეთ „პრავდას" მოწოდება.

დაწყებულ გარდატეხის შესახებ სწერს: „დასაწყისი გაკეთებულია, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი. ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ, თუ გამარჯვებას არ განვავითარებთ. გახსოვდეთ, ჩვენ ოდესღაც თითქმის როსტოვთან ვიყავით, მაგრამ შემდეგ მივეცით ჩვენ ყოველივე, რადგან მაშინ ჩვენი გამარჯვება ვერ განვავითარეთ შემოტევის დროს. მხოლოდ ეხლა შევძელით ჩვენ გარდატეხა, ჩვენ დავიწყეთ წინაღმდეგობის გაწევა და მტრის შევიწროვება, მაგრამ ეს ეხლა კიდევ ძალიან ცოტაა. უნდა დავამარცხოთ მტერი და ერთ წუთს ვერ დავისვენებთ. მტკიცე მუშაობა თავდაცვისათვის, აი ჩვენი ლოზუნგი. ქალებო და მამაკაცებო, პარტიულო და არა პარტიულ ამხანაგებო, ახალგაზრდებო და მოხუცებო, ყველამ თავისი წვლილი უნდა შემოიტანოს უკანასკნელ გადამწყვეტ ომში. საფრთხეს არ გაუვლია. მტერი ფხიზლადაა. შეკრთა. ჩვენ მას ფეხ და ფეხ უნდა ვსდიოთ

ლენინის წინადადება შეთანხმების სახელმწიფოებისადმი

ლენინს განუცხადებია, რომ საბჭოთა მთავრობას ასაცავად, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოლაპარაკების გამართვა ანტანტთან; ამ მიზნით მას მიუმართავს პრეზიდენტ ვილსონისათვის, ლანსინგისათვის, და პოლკისათვის, გოუს რათა მათ აეღოთ ინიციატივა საზაო მოლაპარაკების გასამართავად;

პოლკ გოუს ლენინისათვის რადიოთი უპასუხნია, რომ ვილსონი ამ ჟამად იმდენათ გართულია საზაო ხელშეკრების დამუშავებით, რომ დრო არ აქვს ყურადღება მიაქციოს საბჭოთა რუსეთის საკითხს.

მოხალისენი, თერგის ყუბანის და დონის ბლოკადას აცხადებენ

„უ. ი." იუწყება, რომ როსტოვიდან ჩამოსულ პირთა გადმოცემით „განსაკუთრებულ თათბირს" მოხალისეთა ლაშქართან, ოფიციალურად გამოუცხადებია ბლოკადა არა მარტო ყუბანის, თერგის და დონისაც.

მოხალისეთაგან დაკავებულ ადგილებიდან არავითარი საქონელი, ნებადაურთველად არ გაიშვება ამ ადგილებში.

ზავი გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის

გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ ბაუერის სამინისტრომ მიიღო შეიდემანის პროგრამა ზავის ჩამოგდებისა საბჭოთა რუსეთთან და მასთან ეკონომიურ ურთიერთობის განახლებისა.

ბაუერის სამინისტრომ უკვე გაუგზავნა თავისი წარმომადგენლები მოსკოვის მთავრობას.

რუს სოციალისტების პროტესტი

პარიზში, ბურცევის გაზ. „საერთო საქმემ" გამოაქვეყნა ლიუცერნის სოციალისტურ ინტერნაციონალის კონფერენციის რეზოლიუციის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი:

„ჩვენ, ამის ქვემორე ხელის მომწერი რუს სოციალისტები, ოფიციალი წარმომადგენელნი რუსეთის აღორძინების კავშირისა, რომელთა ორგანიზაციაშიც შედიან მემარჯვენე ს.-რევოლიუციონერები, მენშევიკები, „პლეხანოვის" „ედინსტვოს" ჯგუფი, სახალხო სოციალისტები და მემარცხენე კადეტები, ვაცხადებთ პროტესტს იმ ბოლშევიკურ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც ამას წინად გამოიტანა ლიუცერნის კონტრ. კონფერენციამ.

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციამ თვითონ აღიარა რუსეთის გამოურკვეველი მდგომარეობა, მან რუსეთში მაინც იცნო ბოლშევიკების დესპოტიური ძალა და უფლება, როგორც რუსის ერის ნების ყოფის გამომხატველი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

ყოველივე ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ბოლშევიკების მართველობის ხანგრძლივობა დღემდე აიხსნება, მათი სამხედრო დიქტატურით, და არა ხალხის თანაგრძნობით.

რუსეთის დამფ. კრების მოწვევა შეგვეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი განთავისუფლდება უზურპატორ ბოლშევიკებისაგან.

იაპონია და ჩინეთი

ოქტ. 24. შანხაიდან იუწყებიან, რომ ჩინეთში იზრდება მოძრაობა იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩინელები ანადგურებენ იაპონურ ბაირაღებს და მიკადოს სურათებს და იაპონის საწინააღმდეგო მანიფესტაციებს აწყობენ. იაპონიის მთავრობა ძალიან დააფიქრა შორეულ აღმოსავლეთში რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდამ. შორეულ აღმოსავლეთში რუსის მცხოვრებთ ბრძოლა იაპონიის ჯართან გრძელდება. იაპონიის სარდლობა მკაცრ ზომებს ღებულობს ჯანყებულთა წინააღმდეგ დაბა-სოფლებს სწვავენ, გლეხებს ხვრეტენ. აღშფოთებული გლეხები პარტიზანთა რაზმებს ადგენენ. უკანასკნელ ხანს იაპონელების და პარტიზანების შორის ბრძოლა სწარმოებს ბაიკალის და ამურის ოლქებში.

სოფიიდან თბილისამდე.

ოჰ, სანეტარო წუთი!.. გაისმა მესამე ზარი, ჩვენი მატარებელიც შეინძრა და მძიმედ ააგორა თვლები. ფრანგების მატარებელი ნელ ნელა უკან გვრჩება და სოფიის სახლების სართულები თვალს გაურბის. სოფია უკან

დავბრჩი და თვალ წინ გადაგვეშალა ამწვანებული ღია ადგილები ვაგონის სარკმელში შემოიჭრა მზე და გაგვათბო. ვაგონში ბაასი გაცხოველდა. როგორც იყო მოვახერხე და ჩემოდანზე ჩამოვჯექ. მატარებლის თვლების ერთნაირ ხმაურობამ და იქ მყოფთა პოლიტიკაზე ბაასმა ძილი მომგვარა, მით უფრო რო ღამით უძინარევი ვიყავ. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მე იქ ვერ მოვისვენე.

— ეხლა გათავებულია, ამბობს ბულგარელი ჯარის კაცი. ბულგარეთი დაღუპვის გზას დააყენეს მასმა მმართველებმა, რუსეთი თავის დღეში აღარ შეგვირიგდება ჩვენი ღალატისთვის და ვეღარც გერმანია გვიშველის რასმე. ხომ იცით რა საშინელი ზავის პირობები წამოგვიყენეს მოკავშირეებმა. ბულგარეთი მოტყუებული და ცარიელი დარჩა და 4 წლის თავგანწირულ ბრძოლამ უნაყოფოდ ჩაგვიარა. სერბიელნი და რუმინელები გაიხარებენ.

— რად აღარ შეგვირიგდება რუსეთი?—უპასუხებს სქელი მაიორი—ეს ღალატი მომენტის ნაჩვენები იყო! პოლიტიკა და დიპლომატიაც ის არის რომ საიდანაც მეტს სარგებლობას გამოველით, იქით გადავიხართ. რა უყოთ რომ რუსები ჩვენი განმანთავისუფლებელნი არიან. 1812 წელს საფრანგეთი რუსეთის მტერი იყო, მაგრამ ამ ომში კი მოკავშირეები გახდნენ. სახელმწიფოთა ცხოვრებაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თუნდ რუსეთი და იაპონია ავიღოთ.

— მართალია, მაგრამ რუსებს არც ფრანგები და არც იაპონელები არ გაუნთავისუფლებიათ და ისინი არც სლავიანები არიან!

არ ვიცი რით გათავდებოდა ეს კამათი, რომ მატარებელს სვლა არ მოეკლო და არ გაჩერებულიყო!.., პირველი პატარა სადგური იყო. ზოგიერთნი წყლის ამოსატანად გადავიდნენ. ბულგარელ მაიორმა ახლა ჩამიგდო ხელში და მომიბრუნდა.

— თქვენ სამხედრო ტყვე ხართ?

— დიაღ.

— განთავისუფლდით?

— როგორც ჰხედავთ!

— რა აზრისა ხართ მიგვიღებს რუსეთი თუ არა, შეგვირიგდება?

სულაც არ მესიამოვნა მაიორის შეკითხვა და არც პასუხის გაცემა მსურდა, მაგრამ ვიცოდი თავს არ დამანებებდა და ამიტომ თავიდან მოსაშორებლად უპასუხე:

— რატომ, მიგიღებთ თქვენ ხომ სლავიანები ხართ, „Братушка-ები“ *)

მაიორი სრულიად დაკმაყოფილდა ჩემი პასუხით და მის სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გაირბინა. ამოიღო ჯიბიდან ვაშლი, გათალა და ჭამა დაუწყო...

მატარებელი ისევ დაიძრა.. ფეხზედ დგომით დაღლილი მგზავრები სცდილობენ როგორმე ჩამოსხდნენ და ისე აწვებიან ერთმანეთს რომ სუნთქვა გაუჭირდება კაცს. მე მიხარიან, ავად თუ კარგად მატარებელში ვზივარ მივექანები ჩემ სამშობლოსაკენ. დღეს ღამის 12 ს. უკვე რუშჩუკში ვიქნებით. ამ ქალაქის ნახვაც მაინტერესებს, რადგან ჯერ არ მინახავს. ის მდ. დუნაის ნაპირზეა გაშენებული.

გადაწყვეტილი გვქონდა, უფრო კი ჩემი დაჟინებით, დავბრუნებულიყავით რუშჩუკით ბუხარესტით, ბრაილოვით და ოდესით. თუმცა შეგვეძლო სხვა გზითაც: ვარნით და იქიდან ოდესამდე ზღვით... მაგრამ ჯერ ერთი ღმერთმა იცის, როდის მოვიდოდა გემი ოდესიდან ჩვენ წასაყვანად და მეორეც, ბუხარესტის ნახვა რაღაც უნდა ღირდა. იქნებ აღარ მეღირსებოდა მისი ნახვა და აქ კი შემთხვევა გვეძლეოდა უფასოდ რუმინეთით გასეირნებისა. რუმინეთში თუმცა გერმანელების ჯარი იდგა, მაგრამ ეს არ გვაფერხებდა, რადგან ჩვენი წარმომადგენლისაგან გვქონდა გერმანულად დაწერილი მოწმობა, რომლითაც უნდა გავეშვით როგორც საქართველოს ქვეშევრდომნი. ეს იყო რომ ვარნის მაგიერ რუშჩუკისკენ ვიბრუნეთ პირი, მით უფრო რომ ვარნაში უკვე ვიყავით და გვენახა. უკიდურეს შემთხვევაში თუ რუმინეთით ვერ მოვახერხებდით მგზავრობა, რუშჩუკიდან შეგვეძლო ვარნაში დაბრუნება, რკინის გზით 6 საათის განმავლობაში.

ჯარის კაცებმა თავიანთ აბგიდან ამოიღეს პური და ყველი და დაუწყეს ჭამა. ერთმა მათგანმა მოსჭრა ყველი და პური და გამომიწოდა. მე უარზე დავდექი და უთხარი ნუ შესწუხდებით, პურიცა მაქვს და კვერცხებიცა მეთქი; მაგრამ ჯარის-კაცი არ მომეშვა, გამოვართვი.. დავიწყეთ ჭამა... ამან ცოტა შეღავათი მომცა, რადგან დღეს სულ არაფერი მეჭამა..

ჩემი ამხანაგები ყველანი შიგნით, კუპეში იყვნენ და მხოლოდ მე მხვდა გარედ ტალანში დგომა. მინდოდა როგორმე გამძვრალიყავ და ჩემა ამხანაგებთან მივსულიყავი...

ჭამის შემდეგ ამოვიღე „ციგარების“ (პაპიროსები) ას ცალიანი კოლოფი და შევთავაზე ყველას... ეს ციგარები ბლომად მქონდა ნაყიდი, არც ისე ძვირი იყო: 100 ცალი 5 ლევი..

მატარებელი მიჰქროდა და ახალ სანახავებს გვაჩვენებდა... ამ ჟამად მივქროდით მაღალ ბალკანეთის მიხვეულ-მოხვეულებში. სადაც მდ. ისკრა მიიკლაკნება და მარდად მიხტის კლდეებ შუა და სადაც მრავალი მღვიმე სჭრის ბალკანეთის მთებსა... მომაგონდა ბულგარული სიმღერა:

Шуми Морица, *)
Окровавена,
Плаче дѣвица,
Люто ранена...

რა გულცივი და გულუბრყვილო ხალხია ბულგარელები. უბრუნდებიან სახლ-კარს და არავითარ სიხარულის ნატამალიც არ ეტყობათ. ისინი არც კი მღერიან არაფერს: აბა ესენი ქართველები ყოფილიყვნენ, რომ ხელად შეაწყობდნენ ხმებს და დაიწყებდნენ სიმღერას!.. ისინი მხოლოდ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ ეხლაც, შინ დაბრუნებისას და სახლში რომ მივლენ იქაც ამგვარივე ლაპარაკით გაათავებენ თავისიანებს!

მატარებელი ისევ ელვასავით მიჰქრის და ვაგონში არავინ შემოდის ბილეთებისა და მოწმობებისთვის. ეხლა, ყველა სამხედრო პირს თავისუფლად შეუძლიან მგზავრობა!..

როგორც იყო ჩემი ჩემოდნით შიგნითა კორიდორში ამოვყავ თავი. კუპეში ჩემი ამხანაგები ისხდნენ ვიღაც ბულგარელებთან და ქალიშვილებთან ერთად. ლაპარაკობდნენ დავუგდე ყური. იქიდანაც პოლიტიკა შემომესმა. ღმერთო, ისე მომაბეზრებს თავს პოლიტიკა, რომ ვწყევლი მის მომგონს...

დამინახეს თუ არა მიმიწვიეს შიგნით და ერთმა ქალიშვილმა დამითმო ადგილი... შევედი.. დავჯექი, მაგრამ პოლიტიკამ ისე წამიჭირა ყელში, რომ სუნთქვა შემიკრა და დავაჩქარე ქალიშვილისთვის ადგილის დაბრუნება ისევ ტალანში ვარჩიე, საიდანაც ბუნება მოსჩანდა... ტალანი ბარგით იყო სავსე. ხალხი ნელ-ნელა გერჩებოდა სადგურებზე და ხალვათდებოდა ვაგონი.

— Плѣвна!

მატარებელი გაჩერდა პლევნის სადგურზე. პლევნა მოზრდილ ქალაქად ითვლება, ლამაზი სადგურით და „кръчмарница“ — (სასირაჯო)—ებით სავსე. ბულგარელნი ჩამოხტნენ, მაგრამ ჩვენ რა ჩამოგვიყვანს, როდესაც სადგური ისევე ცარიელია, როგორც დონ-კიხოტის თავი. ვდგავარ ფანჯარასთან და ვუყურებ ამ შესანიშნავ თავის ისტორიულ წარსულით პლევნის ცარიელ სადგურს. იმის ელფერი ძალიან დამჩნევია! სადგურის გვერდით მოსჩანს „Питателенъ пунктъ“ (დასანაყრი სახლი), წითელი ჯვრით, სადაც რამდენიმე ბულგარელი ჯარის კაცი პურსა და ჩაის შეექცევიან. ორი საათის შემდეგ მატარებელი ისევ იძვრის და გვაშორებს პლევნას. ჩვენი ვაგონი ისე თავისუფლდება, რომ ხალხი მხოლოდ კუპეებში ღაა, გარედ კი აღარავინ ჩემს გარდა.

არჩილ მაჭავარიანი

---

*) ბულგარელები რუსებს დღესაც „ბრატუშკებს“ ე. ი. ძმობილს ეძახიან.

*) ბულგარულ მარშის სიტყვები: მოხმაურობს გასისხლიანებული მორისა (მდინარეს სახელია) და მძიმედ დაჭრილი ქალი სტირს.

ბრძოლა ხოლერის წინააღმდეგ

ქ. თბილისის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა მეუნარგიამ შემდეგი მოწოდება გამოსცა მოქალაქეთადმი.

ხოლერა არ ნელდება. აგვისტოდან დღემდე ავათ გახდა ხოლერით 90 კაცი. თუმცაღა შარშანდელთან შედარებით ეს რიცხვი მეტად მცირეა, მაგრამ არა ნაკლებ საშიშოა. თუ აგვისტო-სექტემბერში ავად ხდებოდენ მოსულნი და ლტოლვილები, ახლა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის აჩინა ხოლერამ თავი. ხდებიან ავათ მუშები, მოხელენი, სტუდენტები. ეს მეტად ჩასაფიქრებელია, მით უფრო, რომ დღევანდელ პირობებში ხოლერასთან ბრძოლა მეტად საძნელოა. სანიტარული პირობების დაცვის საქმეში საერთოდ და კერძოთ კი ეპიდემიასთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა შეგნებულ მოქმედებას. ეს მით უფრო საჭიროა ახლა, როდესაც ქალაქის თვითმართველობას არა აქვს საშუალება უნაკლულოთ აწარმოოს ეპიდემიასთან ბრძოლა.

მოქალაქენო დაიცავით სისუფთავე თქვენ ბინაზე. ნუ სვამთ უმ წყალს. დაიცავით ყოველივე სანოვაგე ბუზებიდან, რადგან მათ გადმოაქვთ ხოლერა ერთი ადგილიდან მეორეზე, ერიდეთ ხალხს.

ნუ დაივიწყებთ, რომ ერთად ერთი უებარი საშუალება, რომლითაც შეიძლება ხოლერას თავი დაახწიოთ, ეს არის ხოლერიდან აცრა. როგორც ყვავილის აცრა გიხსნის ყვავილიდან, ისე ხოლერას აცრაც უზრუნველგყოფს ხოლერიდან. აცრას არავითარი ვნება არ მოაქვს. ამ მოკლე ხანში აიცრა 2000-მდე კაცმა, მაგრამ არც ერთი მათგანს არავითარი გართულება თან არ დაჰყოლია.

მოგიწოდებთ ყველას აიცრათ თავი ხოლერიდან. აცრა სწარმოებს ყოველ დღე უფასოდ.

ცენტრალური ამბულატორიაში პუშკინის ქუჩა.

ავლაბრის ამბულატორიაში კახეთის მოედანი.

კუკიის ამბულატორიაში ანდრეევის ქუჩა № 1.

ქ. თბილისის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორი **მეუნარგია**

ბავშვებისთვის

ზნეობრივად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა—უდიდესი დანიშნულება უნდა იყოს ოჯახისა თუ სახელმწიფოსი, ვინაიდან ამაშია საწინდარი ერის და კაცობრიობის კულტურული დაწინაურებისა. ამ დიდი მიზნის მისაღწევად კარგახანია, რაც ევროპაში და ამერიკაში, ოჯახი და სახელმწიფო ხელი ხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ. რაც დრო გადის, ბავშთა მოვლა-პატრონობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მზრუნველობის საგნად ხდება და უფრო და უფრო ნაციონალურად ეწყობა. ობიექტი ამგვარი მზრუნველობისა თავდაპირველად შეუძლებარი ბავშვებია, ობლები, უდედ-მამონი, ნაბიჭვრები და ისინი ვინც ღვიძლ მშობლებს სხვის ოჯახში შეუგდიათ. რა იქნება იმაზედ მაღალი და ჰუმანიური კულტურული საქმე, იმაზედ კეთილშობილი სულისკვეთება, რომ ამ ადამიანის ქმნილებათ, რომელთაც არავისთვის არაფერი დაუშავებიათ, გარდა იმისა, რაც ჩვენ ყველას:—მათდა დაუკითხავად ამ ქვეყნად რომ გაჩენილან, და უხეირო, ან უბედურ მშობლებს უმწეოდ რომ დაუყრიათ, ვიმეორებთ, რა იქნება, იმაზედ კეთილშობილი, რომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ ითავოს და შეუდგეს ამ ქმნილებათა მოვლა-პატრონობას და მათგან ქვეყნის სასარგებლო მოქალაქეების დაყენებას.

საქართველოში ამ მხრივ სამწუხაროდ, ჯერ არაფერი გაკეთებულა; საზოგადოებრივი შეგნება და აზრი ამაზედ არ შეჩერებულა, რაიც ჰმოწმობს ჩვენს პირველყოფილობას და საზოგადოებრივ უმწიფრობას. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ახლაც სუსტად ისახება, პირველი ცდები მოსჩანს. დაარსდა „დედა-შვილობის“ საზოგადოება, რომელიც ამ მიზნებს ისახავს. ჩვენი ვალია ამ დაწესებულებას ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოთ და საზოგადოებაში ფართოდ გავიტანოთ ამ ახალი საქმის იდეა. ამ მიზნით საჭიროდ დავინახეთ მკითხველ საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა ზოგი რამ იმ მასალისაგან, რომელიც შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა, და რომელიც ეკუთვნის მედიცინის დოქტორს ბ-ნ შენგელიძეს. ბ-ნი შენგელიძე, სპეციალობით ბავშთა ექიმი, გაცნობილია „ბავშთა თავშესაფარის“ საქმეს,—რა საგანზეაც მას დამზადებული ჰქონდა მოხსენება ამ საქმის ხელმძღვანელ მოსამსახურეთა ინტერნაციონალურ კონგრესზე წარსადგენათ; ჩვენ ვსარგებლობთ ამ მოხსენებით და აქედან ამოგვაქვს მხოლოთ საზოგადო მოსაზრებები; გაზეთის ზომა დანიშნულება ნებას არ გვაძლევს, დაწვრილებით მოვიყვანოთ ბ-ნ შენგელიძის გეგმის მთელი შენობა. იქნებ ბ-ნმა შენგელიძემ სხვა გზით მიაწოდოს იგი ქართველ მკითხველ საზოგადოებას.

ბავშვების მოვლა-მზრუნველობა.

(ექიმ ვ. შენგელიძის მოხსენებიდან).

მთავრობა ორკეცად დაინტერესებული უნდა იყოს ბავშვებს სახელმწიფოებრივი მოვლა და მზრუნველობა აღმოუჩინოს,—ჯერ ერთი, იმისთვის რომ ბავში, როგორც უმწეო ქმნილება, სხვის მზრუნველობას საჭიროებს, მერე კიდევ, როგორც საზოგადოების მომავალი წევრი, იმის და მიხედვით, თუ რანაირ აღზრდა-განათლებას მიიღებს, შეიძლება ან სასარგებლო იყოს ან მავნებელი გახდეს იმ საზოგადოებისა, რომელმაც იგი აღზარდა. ყველაზედ უსაჭიროესია, რა თქმა უნდა, იმ ბავშთა მოვლა, რომელნიც მოკლებულნი არიან ჩვეულებრივ ოჯახურ კერას, მშობლიურ წრის,—აგრეთვე ნაბიჭვართა და იმ ბავშვებისა, რომელნიც ღვიძლ მშობლებს სხვისთვის შეუძლიათ.

სხვა და სხვა ქვეყანაში სხვა და სხვა ნაირად არის მოწყობილი ბავშთა მოვლა პატრონობა.

სხვა და სხვა ქვეყნებში შემოღებულ ბავშთა მოვლის სისტემებს რომ ცნობით, თვალში გეცემათ იმ წმინდა სისტემათა სხვა და სხვაობა, რაც დამტკიცებულია, ერთის მხრით, ამ სახელმწიფოებრივი ღონისძიების ისტორიული განვითარების მსვლელობისაგან, ხოლო, მეორეს მხრით, იმისგან რომ ყოველი ერი, ასე თუ ისე, დაასობს თავის სპეციალური სახელმწიფოებრივი თავისებურობის ბეჭედს; შესაძლოა აგრეთვე პროექტის შემდგენელის სპეციალ განათლებასაც გავლენა ჰქონოდა სისტემის შემუშავებაზედ. სისტემათა და ღონისძიებათა ეს სხვა და სხვაგვარობა, მიუხედავათ დასახული მიზნის საერთო ხასიათისა, ვერ იძლევა საკმაო მასალას, რომ შესაძლებელი იყოს ძიებების სწორი დალაგება, ერთმანეთთან შედარების განზრახვით.

ჩემ მიერ დამუშავებულსა და წარმოდგენილ ახალ სისტემას საფუძვლად უდევს ყოველი ადამიანის შრომის უნარიანობა, წმინდა ფიზიოლოგიურის თვალსაზრისით.

ამგვარად, მე ვდებ ამ ორს ძირითად დებულებას ჩემი სისტემისას:

1. ყოველ კაცს აქვს უფლება საზოგადოებრივ დახმარებაზე, თუ თითონ არ ძალუძს უზრუნველჰყოს თავისი საკუთარი არსებობა.

2. ვინც სახელმწიფოსაგან საზოგადოებრივ დახმარებას მიიღებს, იგი, მთავრობის კონტროლის ქვეშ, შეძლების ფარგალში, თავისი შრომით და ჯაფით სახელმწიფოსვე უნდა უნაზღაურებდეს გაწეულ ხარჯებს. ამას უნდა დავძინოთ, რომ საზოგადოებრივი დახმარება არ არის მარტოოდენ ქველმოქმედების საქმე, არამედ წარმოსდგება, როგორც შედეგი სოციალური სისტემისა, ეს სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა და მისი სარგებლობა შეუძლიან და კიდევაც უნდა ისარგებლოს სახელმწიფოს ყოველმა წევრმა, მდგომარეობის მიუხედავათ.

სახელმწიფოს ყოველმა წევრმა, ისე როგორც ოჯახის წევრმა, საკუთარი შრომა და ჯაფა უნდა გაიღოს და მით შეძლებისადაგვარი სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას და არ ამძიმებდეს მას და სცხოვრობდეს სხვის ხარჯზე.

ქვეყნისთვის აბსოლუტურად უსარგებლონი არიან განსაზღვრულ დროის განმავლობაში ძუძუ-მწოვარა ბავშვები, მოხუცებულები, რომელნიც უძლურებაში გადასულან, სულით ავადმყოფნი, რომელნიც სხვებისათვის საშიშნიც კი გახდარან, და აგრეთვე გონება დაკარგული ავადმყოფნი.

ამ თვალსაზრისზე რომ დავდგეთ, ჩემი სისტემა, როგორც მეტის-მეტად სადა, ყველა ქვეყნისთვის ერთგვარი იქნება. ბავში, რომელიც დახმარებას იღებს,—ქვეყნის მომავალი სასარგებლო მოქალაქეა. როდესაც მის ივის მზრუნველობს საზოგადოება, მას, ასე ვსთქვათ, სესხად აძლევს ერთგვარ კაპიტალს, მაგრამ ამავე დროს საზოგადოება ვალდებულია ისე გამოიყენოს და ბავშვი ისეთნაირად აღზარდოს, რომ მასზედ გაწეული ხარჯი ტყუილუბრალოდ არ დაიკარგოს.

მოხუცმა უკვე რამდენადმე მისცა კიდევაც სამშობლოს თვისი ძალ-ღონე მაგრამ დაუძლურების ხანაში, საზოგადოება მისგან ვერავითარ სარგებლობას ვერ მიიღებს; მოხუცს უფლება აქვს ქვეყნისთვის დახარჯულ კაპიტალიდან თვისი პროცენტები აიღოს.

მედიცინის დოქტ. შენგელიძე.

(დასასრული იქნება)

აგრონომიულ დარგში მოღვაწე საყურადღებოდ.

სოფლის მეურნეობა საქართველოს კეთილდღეობის საფუძველია: მცხოვრებთა 84 პროც. სოფლის მეურნეობას მისდევს და ამავე დროს არც ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა არ არის ისე დაქვეითებული, როგორც სოფლის მეურნეობა. საჭიროა ყურადღების მიქცევა, საჭიროა ერის ყველა ძალების ამოძრავება და იმის გამორკვევა, თუ რა გზით შეიძლება მისი აღორძინება.

ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე აღმართულია ორი საკითხი: ერთი—შინაური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მეორე გარედ გასატანად საქონლის დამზადება; ერთიც და მეორეც შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში; საჭიროა ამიტომ შესწავლა მოვლენათა, რომელთა ზე გავლენის ქვეშ იმყოფება სოფლის მეურნეობა: შესწავლა ბუნებრივ ეკონომიურ და უფლებრივ პირობებისა

თვით ეს შესწავლა უნდა სწარმოებდეს განსაზღვრულ წესით და რიგით, რომ ამ კოლექტიურ შრომის შედეგათ იყოს ჩვენი სამშობლო ქვეყნის გაცნობა: მხოლოდ ამ გაცნობის შემდეგომ შეიძლება გათვალისწინება მეურნეობის განვითარების გზის, იმ მომავლისა, რომელსაც ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ, და აგრეთვე აგრონომიულ დახმარების ზოგადი ორგანიზაციის პრინციპებისა; ამ შესწავლის შედეგი იქნება დასახვა მთელ რიგ ღონისძიებათა ეკონომიურ, ფინანსიური და უფლებრივ ხასიათისა, ურომლისოდ შეუძლებელია სოფლის მეურნეობის ნორმალური განვითარება და აგრონომიული მუშაობის ნაყოფიერება.

აგრონომიული დახმარება გულისხმობს ორნაირ მუშაობას ერთი—იმ საშუალებათა და ღონისძიებათა კვლევა ძიებას, რომელთა მეოხებით შესაძლებელია არსებულ შემოსავლიან კულტურების გაუმჯობესება და მეურნეობის შეცვლა; მეორე—ცოდნის გავრცელება, პროპაგანდა, რომელსაც ემსახურება ორგვარი ორგანიზაცია სკოლა და მოსიარულე პროპაგანდისტ-აგრონომები: მაგრამ მათ არა აქვთ ყველგან ერთნაირი მნიშვნელობა; მეთოდები აგრონომიულ მოქმედებისა ცოდნის გასავრცელებლად შეფარდებული უნდა იყოს ადგილობრივ კულტურულ და სხვა მდგომარეობასთან; ერთის სიტყვით, ამ პასუხ-საგებ მუშაობის ორთავე ნაწილს აქვს თავისი მეთოდები, საშუალებანი და მიზანი; საჭიროა გამორკვევა მათი მნიშვნელობისა და ურთიერთი დამოკიდებულებისა საერთო მიზნის და ჩვენი საჭიროებათა მიხედვით; ორგანიზაციის განხორციელებაშიც ერთნაირი წილი არ უდევთ ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებებს და ცენტრალურ მთავრობას; მათი უფლებრივი და ფინანსიური მონაწილეობა სავსებით განისაზღვრება ცენტრის და პროვინციის დამოკიდებულებით, ცენტრის ძალისა და პროვინციის კულტურულ თვითმოქმედებით.

რესპუბლიკა ახლად აშენებს სახელმწიფოს, კულტურულ მომავალს ეხლა ეყრება საძირკველი და ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა სრულის შეგნებით გამოვარკვიოთ და, თუ შესაძლებელი იქნა, გადავსწყვიტოთ ის მძიმე და შთამომავლობის წინაშე პასუხ-საგები საკითხები, რომელიც წამოაყენა ჩვენმა ახლად აღდუღებულმა მოქალაქეობრივმა და პოლიტიკურმა ცხოვრებამ.

საქართველოს ყველა კუთხეში მოიძებნებიან კულტურული ძალები, რომელნიც შეუმჩნევლად, მაგრამ მტკიცეთ ეწევიან აგრი კულტურულ მუშაობას. საჭიროა მათი შეკავშირება, მათი ნაცადის და ნაკვლევის გამოყენება, საჭიროა ზემოაღნიშნულ და მათთან დაკავშირებულ საკითხების გამორკვევა.

ყველა ამისათვის თბილისში, აწ 15 ქრისტეშობ. განზრახულია მოწვევა სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობისა, რომლის დებულებას და პროგრამას ამასთანავე გახლევთ.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ, პატივცემულო ბ-ნო, სავსებით იზიარებთ აღნიშნულ ყრილობის დიდ მნიშვნელობას და ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი თქვენი პირადი მონაწილეობით და მოხსენებით იმ საკითხის შესახებ, რომელიც მიიპყრობს თქვენს ყურადღებას, საპატიო ადგილს დაიჭერთ მის კოლექტიურ მუშაობაში, რისთვისაც საორგანიზაციო კომიტეტი წინდაწინვე გულითად მადლობას გიძღვნით.

საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პროფ. ს. ავალიანი.**

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად
ქუთაისში: მთავრიშვილის მაღაზიაში.
თბილისში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში.

ქართული წერის დედანი
ს. დათეშიძისა
2595 12—6

მიმოსვლა
სახალხო მატარებლებისა
ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	06 წ.

თბილისი-სადახლო

გადის სადახლოში

№ 8	საღამოს	6 ს.	5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს.	32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს.	50 წ.

მოდის სადახლოდან.

№ 3	დილის	7 ს.	27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს.	5 წ.
№ 7	დილის	11 ს.	52 წ.

თბილისი-ქსანი, გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს.	40 წ.
№ 61	დილის	7 ს.	52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს.	26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს.	30 წ.
№ 62	დილ.	11 ს.	24 წ.
№ 64	საღ.	8 ს.	4 წ.

თბილისი-სანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 50 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდში და მალე წასახდენი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
ასლანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3., ტელეფონის № 17-21.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ტუშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სოლენოიდი და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7 92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
ბეჰელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.